# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 9 მაისი. 2022 წ. №58 (9396) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# დღეს ფაშიზმზე გამარჯვების დღეა!




**ზოგისთვის მეორე მსოფლიო ომში, მეორე ნაწილისთვის კი – დიდ სამამულო ომში გამარჯვების 77-ე წლისთავია.**

ისტორიული სამართლიანობა ორივე შეფასებას მისაღებად მიიჩნევს, მაგრამ ვერაფრით დავეთანხმები იმ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც მეორე ვერსიის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან და ჯიუტად იმეორებენ – ეს ჩვენი სამამულო ომი არ იყოო!

თქვე მამაცხონებულებო: ოჯახი ხომ გაქვთ? ჰოდა, მერე მის წევრებს ჰკითხეთ – რომელიმე უახლოესი წინაპარი არ გაპარულა ფრონტზე ან არ გაუწევვიათ სამშობლოს დასაცავად იმ ქარ-ცეცხლიანი 1418 დღის განმავლობაში? იქნებ, ბრძოლის ველზეც დარჩა ან დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება?!

თუმცა, ამ კითხვებზე რომ დასაბუთებული პასუხები მივიღოთ, „მოწინავე“ თანამედროვე ქართველებს მამულის, სამშობლოსა და მსგავსი წმიდათაწმინდა მცნებების სულისკვეთებით უნდა ვზრდიდეთ. მშობლებსა და სკოლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ (კიდევ კარგი, გამონაკლისებიც გვხვდება), ტელეეთერში წამლადაც ვერ მოისმენ გულში ჩამწვდომ პატრიოტულ ფრაზებს. ჰოდა, რაღა გვიკვირს?

არანაკლებ აღმაშფოთებელია ფაშიზმის ჭეშმარიტი გორელი დამთრგუნველის იოსებ სტალინის კაცობრიობის წინაშე დამსახურების დაკნინების მსურველთა კაპრიზი – ომი დასავლეთმა მოიგოო!

ომი საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა არმიამ და სტალინის გენიამ მოიგო! თანაც, ქართველთა 300 ათასიანი არმია შეეწირა ამ ჭეშმარიტ სამამულო ომს!

დიდება გმირებს! არასოდეს დავივიწყოთ პოეტის შეგონება – იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ!

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს გილოცავთ, მეგობრებო!

გია პლატონიშვილი



# ვლადიმერ პუტინი: ომის გაჩაღების გარდა, დასავლეთმა სხვა არჩევანი არ დამიტოვა!

**რუსეთის** პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 77-ე წლისთავს რამდენიმე ქვეყნის ლიდერსა და მოქალაქეებს ულოცავს.

პუტინის მისალოცი წერილები გაეგზავნა აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვას, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, თვითგამოცხადებული დონეცკისა და ლუჰანსკის, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ლიდერებს“, ასევე ქართველ და უკრაინელ ხალხს.

„დღეს საერთო მოვალეობაა – არ დავუშვათ ნაციზმის აღორძინება, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნის ხალხებისთვის ტანჯვა მოიტანა. მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და შთამომავლებს გადავცეთ სიმართლე ომის მოვლენების შესახებ, საერთო სულიერი ფასეულობები და ძმური მეგობრობის ტრადიციები“, – ნათქვამია აგრესორი ქვეყნის პრეზიდენტის მისალოც წერილში.



იხ. 4-8 გვ.

## ოკუპანტი პუტინის 9 მაისი. კრემლი უსირცხვილოდ გვილოცავს!

3 თამაზ გაიაშვილი: 4

## ხელისუფალნო, აღკვეთეთ ამ ყოვლისმკადრებელი ძმები კოდუების დაუოკებელი პარპაში

---

ზაალ ანჯაფარიძე:

3

## რატომ არის სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმებული? იმიტომ, რომ განზრახ არ იღებს ცილოვან საკვებს!

# სალომე ზურაბიშვილის მოთმინების ფიალაც აივსო!



საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** აქამდე, როგორც ვიუწყებოდით, უკრაინის მიმართ მწვავე განცხადებების გაკეთებისგან თავს იკავებდა, თუმცა გერმანულ გამოცემა **„დოიჩე ველთან“** სიჩუმე დაარღვია. ინტერვიუს დროს მთავარსარდალმა აღნიშნა, რომ უკრაინელები პარტნიორებისგან უფრო მეტს ითხოვენ, მათ შორის საქართველოსგან.

**„უკრაინელები ზოგჯერ უფრო მეტს ითხოვენ პარტნიორებისგან, არა მარტო საქართველოსგან. უხეში სიტყვები გამოიყენეს სხვადასხვა პარტნიორის მიმართ, მათ შორის ბლინკენის მიმართ, როდესაც ის კიევში ჩადიოდა, უთხრეს: „ნუ წამოიღებთ შოკოლადებს, წამოიღეთ იარაღი“. მათ სურთ საქართველოსგანაც მიიღონ იარაღი, რომ საქართველომ გახსნას მეორე ფრონტი. ეს ყველაფერი შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობა უფრო რეალისტურად უყურებს იმას, თუ რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს ამ ეტაპზე. გვაქვს ორი ოკუპირებული ტერიტორია, რომელთაგან ერთ-ერთი ახლა რუსეთთან შეერთების შესახებ რეფერენდუმის გამართვაზე საუბრობს. ცხადია, სიფრთხილე გვმართებს, რადგან ბევრი შესაძლებლობა არ გვაქვს და არავინ იქნება მზად, საქართველოს მსგავსი გზით მხარი დაუჭიროს, მაგრამ ეს არანაირად არ ცვლის ჩვენი სოლიდარობის დონეს“,** — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** პრეზიდენტის სიჩუმის დარღვევას ხსნის იმით, რომ უკრაინის მხრიდან ყოველგვარმა ზღვარგადასულმა ბრალდებებმა **სალომე ზურაბიშვილს** მოთმინების ფიალა აუვსო.

**„სალომე ზურაბიშვილი საკმაოდ დიპლომატიურად პასუხობს იმ უხეშ ბრალდებებს, რომელიც კიევიდან მოდის. მოთმინებასაც გარკვეული ზღვარი აქვს, მათ შორის პოლიტიკური ლიდერებს შორისაც კი. ეს დაუმსახურებელი კრიტიკა, რომელიც ყოველდღე ნიაღვარივით მოდის, ადრე თუ გვიან, დასრულდება. ამიტომ, პასუხი დიპლომატიურად უნდა გაეცეს, ისე, როგორც ქალბატონმა ზურაბიშვილმა გააკეთა“,** — განაცხადა **გია აბაშიძემ.**

ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ **სალომე ზურაბიშვილის** მწვავე ინტერვიუ უკრაინის მაღალჩინოსნებს გულზე არ მოხვდებათ. მისივე თქმით, ორ ქვეყანას შორის ისედაც გამწვავებული ვითარება, საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუს შემდეგ ველარ გამწვავდება.

**„საქართველო უკრაინის მხარდასაჭერად მაქსიმუმს აკეთებს და გააკეთებს. ეს პროცესი არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღნიშნა და საჯაროდაც ამბობენ. უკრაინა ომშია, ამიტომ პრეზიდენტი ზელენსკი მაქსიმუმს ითხოვს, მაგრამ რა შესაძლებლობებიც არსებობს, იმით ეხმარება როგორც საქართველო, ასევე დასავლეთის ქვეყნები. არ ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს შემდეგ თბილისსა და კიევს შორის ურთიერთობა გამწვავდეს, რადგან ისედაც გამწვავებულია. ამის დამადასტურებელია ელჩის გაწვევა. ასევე, თითქმის ყოველდღე უკრაინელი ჩინოსნები დაუმსახურებლად გვლანძღავენ. ეს ყველაფერი გადაივლის. იმ თანაცხოვრებას და ურთიერთობას, რომელიც უკრაინასთან გვაქვს, ვერაფერი დააზიანებს. ომი დასრულდება და ურთიერთობებიც აღდგება, შეიძლება კიდევ უფრო გაუმჯობესდეს“,** — აღნიშნა **გია აბაშიძემ.**

ანალიტიკოს **ზურა ქადაგიძის** განცხადებით, უკრაინის მხრიდან წამოსული ბრალდებების ერთობლიობა გარკვეულ კანონზომიერებამდე მივიდა, ამიტომაც საჭირო გახდა მკაფიო გზავნილების გაკეთება, რომელიც პრეზიდენტმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნა.

**„უკრაინის ხელისუფლება ყველანაირ პრაგმატულ ვითარებას გასცდა და საქართველოს დადანაშაულება ღიად დაიწყო. მათი მხრიდან არაერთი შეცვლილი განცხადება ვნახეთ — ერთ დღეს საქართველოს, როგორც პარტნიორს აქებენ. მაგალითად, რადას თავმჯდომარე, მის კოლეგას შალვა პაპუაშვილს მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის. მისი განცხადებიდან მეორე დღეს კი, ფრაქციის ხელმძღვანელი არახამია დაგვცინის და საპარლამენტო დელეგაციას აუგად მოიხსენიებს. მგონია, რომ პროცესი გარკვეულ კანონზომიერებამდე მივიდა. ამ პროცესებს ყველა ხედავს, მათ შორის სალომე ზურაბიშვილიც, ამიტომაც საჭირო გახდა მკაფიო გზავნილების გაკეთება — აქ მეორე ფრონტის ხაზი არ გაიხსნება. კარგია, რომ ამ ყველაფერს ინტერვიუს დროს მთავარსარდალიც ხაზს უსვამს“,** — აღნიშნა ანალიტიკოსმა.

მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუს შემდეგ, უკრაინიდან მორიგი ბრალდებები მოვისმინოთ, თუმცა შესაძლებელია, თავდასხმის ობიექტი **სალომე ზურაბიშვილი** არ იყოს.

**„სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს ზელენსკის მხრიდან რა გამოხმაურება ექნება, მეასეხარისხოვანია. აქ მთავარია ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება, თუ რას ფიქრობს ამ კონფლიქტთან დაკავშირებით — ხელისუფლებისა, რომელმაც ყველა პლატფორმაზე დაუჭირა მხარი უკრაინას. აქედან გამომდინარე, ცხელ გულზე ზელენსკი რას იტყვის, მნიშვნელოვანი არაა. ამ ინტერვიუს შემდეგ არ გამოვრიცხავ, რომ მორიგი ბრალდებები წამოვიდეს, თუმცა შეიძლება ამ ბრალდებებში სალომე ზურაბიშვილი არ ფიგურირებდეს. ორი დღეა, ჩუმად არიან, თუმცა ერთი კვირა ყოველდღე რაღაც ბრალდებებს ვისმენდით და ხვალ და ზეგ, შეიძლება ახალი აბსურდი გამოაცხონ. სამწუხაროა, როდესაც უკრაინის მაღალი იერარქიის პირებს ჰყავთ ისეთი გარემოცვა, სადაც ძალიან აბსურდულ რჩევებს აძლევენ“,** — აღნიშნა **ზურა ქადაგიძემ**.

ქეთი გიორგაძე

# საქართველოს პრეზიდენტს ემანუელ მაკრონის იმედი აქვს!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ემანეულ მაკრონს საფრანგეთის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევას ულოცავს.

**„ჩემი გულწრფელი მილოცვა ემანუელ მაკრონს ინაუგურაციის დღეს, საფრანგეთის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევასთან დაკავშირებით. საქართველოს აქვს თქვენი იმედი, რომ უხელმძღვანელებთ ძლიერ საფრანგეთს ძლიერ ევროპაში, რომელიც მისი მეზობლებისთვის ღიაა“..**



# მიხეილ ყაველაშვილი: არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ საქართველო ნატოში გასაწევრებლად ყველაფერს აკეთებს

**ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ საქართველო ნატოში გასაწევრებლად ყველაფერს აკეთებს და ეს ჩემი სიტყვები არ არის,** — ამის შესაებ განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა მიხეილ ყაველაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

**„ნატოს მაღალი რანგის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველო ამ მხრივ, გამორჩეულია და ყოველთვის ასრულებს არსებულ შეთანხმებებს, რომელიც ნატო-საქართველოს ფორმატში წარმოიშობა ხოლმე. ნატოში გაწევრება კონსტიტუციაშიც გვაქვს ჩაწერილი და ამისთვის ჩვენი ქვეყანა, მოსახლეობა მზად არის. ეს ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა, თუმცა დაველოდოთ პროცესებს, როგორ განვითარდება. ჩვენ მზად ვართ, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრები გავხდეთ. ეს არის ჩვენი ქვეყნის საკმაოდ დიდი ხნის ოცნება“,** — განაცხადა ყაველაშვილმა.

# სააკაშვილის ჯანმრთელობა სტაბილურია!

სპეციალური პენიტენციური სამსახური გვარწმუნებს, რომ მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი იმყოფება სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ექიმების 24-საათიანი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ, ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევები და სათანადო სამედიცინო შემოწმება შესაბამისი პროფილის ექიმების მიერ.

**„სპეციალური პენიტენციური სამსახური მოქმედებს ნებისმიერი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის და უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულ სააკაშვილს ჩაუტარდება ყველა აუცილებელი გამოკვლევა და მიეწოდება შესაბამისი მკურნალობა პენიტენციური დაწესებულების ფარგლებს გარეთაც საქართველოში.**

**მოვუწოდებთ პოლიტიკურად ანგაჟირებულ სუბიექტებს, თავი შეიკავონ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით სპეკულირებისგან, რეალობისგან მკვეთრად განსხვავებული აღქმის შექმნისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის ყველა მცდელობისგან“,** — აღნიშნულია პენიტენციური სამსახურის განცხადებაში.

# წადით ბიჭებო, ჯარში!

**საინფორმაციო კამპანია საკონტრაქტო სამსახურში მოქალაქეების მიღების შესახებ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. სამხედრო მოსამსახურეები შეხვედრებს ქვემო ქართლშიც მართავენ. ისინი მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მცხოვრებლებს საკონტრაქტო სამსახურის პირობებს, ასევე თავდაცვის ძალებში პროფესიით დასაქმების შესაძლებლობებს აცნობენ.**

**პირისპირ შეხვედრისას მოქალაქეებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს პასუხები. ჯარისკაცებმა ისაუბრეს საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღების პროცედურასა და ტერიტორიული პრინციპით დასაქმების შესაძლებლობაზე. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო პოტენციური რეკრუტების ანაზღაურების საკითხს, რაც იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის მიხედვით. მოქალაქეები კონტრაქტის დასრულების შემდეგ გათვალისწინებული დანამატების საკითხიც დაინტერესდნენ.**

**გასაუბრებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სამხედროების მხარდაჭერას სოციალური კუთხით, ქვედანაყოფებში მათთვის გაუმჯობესებულ პირობებს, ინფრასტრუქტურის, კვების, სამედიცინო და სამართლებრივი მხარდაჭერის, კარიერული განვითარებისა და სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგაც კი, ჯარისკაცების კონკურენტუნარიანობის საკითხებს. მოქალაქეების ინტერესი გამოიწვია საკუთარი პროფესიით თავდაცვის ძალებში დასაქმების თემამ.**

**სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში რეგისტრაციის პროცედურები მაქსიმალურად გამარტივებულია. რეგისტრაცია მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია ონლაინ — Onlinebct.mod.gov.ge; ასევე, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში — თბილისი, გორი, ქუთაისი, სენაკი, ბათუმი და თელავი, იუსტიციის სახლებსა და რეკრუტირების მობილურ მანქანაში. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისა და თავდაცვის ძალებში პროფესიით დასაქმების შესახებ საინფორმაციო კამპანია ქვეყნის მასშტაბით ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.**

# ახალი სამხედრო ბაზები აჭარაში

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე აჭარის რეგიონში სამხედრო ბაზებზე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.**

გუშინ მინისტრი ქობულეთში, სპეციალური ოპერაციების ძალების ბაზაზე იმყოფებოდა. მან სარემონტო და დასრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. თავდაცვის მინისტრმა ბაზის ტერიტორიაზე ჯარისკაცებისთვის ახლად გახსნილი სასადილო, ახალგარემონტებული ყაზარმები დაათვალიერა და დასრულებული ეკლესიაც მოინახულა. ქართველი სამხედროებისთვის ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის პერიოდიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა არსებული ინფრასტრუქტურის სრული განახლება. აღნიშნული პროცესი აქტიურად გრძელდება და სამხედრო ბაზებზე ასობით ობიექტი აშენდა, გარემონტდა და მოწესრიგდა.

№58. ორშაბათი, 9 მაისი, 2022 წელი.



„რას ნიშნავს „ნაციონალების“ განცხადება, რომ რუსეთთან ომის აცილება არ არის მთლად მსხვერპლის ქცევაზე დამოკიდებული? აბა, რაზეა დამოკიდებული? თუკი შენ რუსეთის მიმართ აქტიური ნაბიჯების გადადგმას დაიწყებ, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ეს უპასუხოდ დარჩება?!“ — აცხადებს ანალიტიკოსი გაალ ანჯაფარიძე.

# მკვდარი ლიდერი თუ...



## რატომ არის სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმებული? იმიტომ, რომ განზრახ არ იღებს ცილოვან საკვებს!

**— ქართველმა და უცხოელმა ცხელთავიანმა პოლიტიკოსებმა შეიძლება ახლა მაინც დაანებონ თავი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნაზე საუბარს, რაც ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინაში ყველამ უნდა შეწყვიტოს ურთიერთთავდასხმა, რადგან ეს მხოლოდ რუსეთს აძლევს სარგებელს? კელი დეგნანი პირდაპირ ამბობს, რომ საქართველო მოწყვლადია, რადგან აქ დგას რუსული ჯარი.**

— არა მგონია, კელი დეგნანის განცხადების შემდეგ მეორე ფრონტის გახსნის მოსურნე ადამიანებმა პოზიცია შეცვალონ. ამერიკელებს უნდათ, საქართველოში ვითარება დამშვიდდეს და სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივიდეს, რისი პირველი ნიშნებიც უკვე ჩანს, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად ცდილობს, დაძაბოს ვითარება სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის ციხიდან გამოყვანასთან დაკავშირებით. ეს არის კელი დეგნანის ერთგვარი პრევენციული განცხადება იმისთვის, რომ რაღაცნაირად აგრძნობინოს ჩვენს პოლიტიკოსებს, რომ აშშ-ს არ სურს, საქართველოში იხილოს რაიმე სახის დესტაბილიზაცია, არეულობა, ქაოსი, აშშ არ დაუჭერს მხარს იმ პოლიტიკურ ძალას, ვინც იქნება ამის შემოქმედი. ყოველ შემთხვევაში, ასეთნაირად გავიგე კელი დეგნანის განცხადება. რაც შეეხება კელი დეგნანის ნათქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო მოწყვლადია, აქ დგას რუსული ჯარი, ცხადია, კელი დეგნანის გარეშეც ვიცით საქართველოს მოწყვლადობის შესახებ. თორემ საქართველო რომ არ ყოფილიყო იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიცაა, შეიძლებოდა, უკრაინის მიმართულებით უფრო მეტი აქტივობაც გამოგვეჩინა. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან მოწყვლად მდგომარეობაშია სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური კუთხით, ამიტომაცაა, რომ ხელისუფლება, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოებაზე, სიფრთხილეს იჩენს ამ საკითხთან მიმართებით. წესით, ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა ეს უნდა გაიგოს. აშშ-შიც და ევროპაშიც, მართალია, ხანდახან გვახსენებენ, რომ საქართველო უნდა დადგეს საერთაშორისო თანამეგობრობის გვერდით, ან დიპლომატიურ შეხსენებებს გვიკეთებენ ღია თუ დახურულ შეხვედრებზე, მაგრამ არ შეიძლება, მათ არ ჰქონდეთ რეალური წარმოდგენა და სურათი, რა შეიძლება მოხდეს საქართველოში იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ უკრაინის მოთხოვნისამებრ, მეორე ფრონტს გავხსნით. შეიძლება, დასავლეთშიც ვიღაცას ეს სურდეს, იქაც არიან ქორები და ცხელი თავები, მაგრამ არიან საღად მოაზროვნენიც, რომლებიც რეალისტურად აფასებენ ვითარებას.

**— ქართველი ე.წ. ქორები ირწმუნებიან, რომ რუსეთთან ომის აცილება არ არის მთლად მსხვერპლის ქცევაზე დამოკიდებული.**

— აბა, რაზეა დამოკიდებული? თუკი შენ რუსეთის მიმართ აქტიური ნაბიჯების გადადგმას დაიწყებ, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ეს უპასუხოდ დარჩება?! აბსოლუტურად არარელევანტური და აბსურდული მოსაზრებაა „ნაციონალების“ სტილში. მე თქვენ გეტყვით, ამის უკან რა დგას, ამის უკან დგას ის, რომ მათ პრაქტიკულად ამოწურეს ყველა საშუალება, მოახდინონ ხალხის მობილიზაცია, გამოიყვანონ დიდი რაოდენობით მომიტინგეები და დაამხონ ხელისუფლება. ახლა უნდათ უკრაინის თემით სცადონ საზოგადოების მობილიზაცია და უკრაინის ფონზე მიაღწიონ პოლიტიკურ მიზანს, ანუ პოლიტიკურად ხელი მოითბონ უკრაინის ტრაგედიაზე. მათ ნახეს, რომ უკრაინის მხარდასაჭერ პირველ მიტინგზე გულწრფელად გამოვიდა ბევრი ხალხი, მიუხედავად მათი პოლიტიკური პრეფერენციებისა, „ნაციონალებმა“ რატომღაც ჩათვალეს, რომ იქ მისული ხალხი „ნაციონალების“ მხარდამჭერია და, თუ ისინი ამ პროცესს სტიმულაციას მისცემდნენ, ეს მათ იმის საშუალებას მისცემდა, შემდგომში საპროტესტო ტალღა აეზვირთებინათ, გაეზარდათ და მერე გადაეზარდათ რევოლუციებში.

**— ეს იმის ანალოგიურია, როგორც გავრილოვის ღამეს ჩათვალეს „ნაციონალებმა“, რომ რუსთაველზე საპროტესტოდ გასული ხალხი, უკლებლივ ყველანი, მათი მომხრეები იყვნენ?**

— დიახ, მაშინაც ნახეს, რომ ახალგაზრდები მივიდნენ, ბევრი განაწყენებული ხალხი გავიდა გარეთ. თუ გახსოვთ, მაშინ საღამოს 11 საათამდე მიტინგი აბსოლუტურად მშვიდობიანი იყო და, როდესაც ამ მიტინგის მართვის სადავეები ხელში აიღო „ნაცმოძრაობამ“ და მისმა სატელიტმა ოპოზიციურმა პარტიამ, მერე რაც მოხდა, ყველამ ნახა.

**— სააკაშვილთან დაკავშირებით მისი ყოფილი თანამებრძოლი და მეგობარი კაკო ბობოხიძე ამბობს, რომ სააკაშვილი მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა „ნაცმოძრაობამ“, ცრუ მოლოდინმა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე ხალხი მას შეეგებებოდა. ბევრი ფიქრობს, რომ მკვდარი ლიდერი გაცილებით მომგებიანია „ნაცმოძრაობისთვის“. რეალურად, რა არის „ნაცმოძრაობის“ მიზანი — მკვდარი ლიდერი?**

— ზუსტად არ ვიცი, სააკაშვილი რით ხელმძღვანელობდა საქართველოში ჩამოსვლისას. ყველაფერი შეიძლება დავუშვათ, თუნდაც იგივე ცრუ მოლოდინი, რომ მას იმედი ჰქონდა, საქართველოში მომზადებული ნიადაგი დახვდებოდა, სახელმწიფო სტრუქტურებიდან მის მხარდასაჭერად ბევრი ადამიანი გადავიდოდა... ვინც ნახა მისი ვიდეო, რომელიც მან ჯერ კიდევ კონტეინერში ყოფნისას ჩაწერა, რომ თითქოს სპეცსამსახურებმა გაიტაცეს, ეს ნიშნავს, რომ წინასწარ მაინც იმზადებდა ალიბს და უკან დასახევ გზას იტოვებდა, მაგრამ ყველა ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ სათანადოდ ვერ შეაფასეს ამ ხელისუფლების შესაძლებლობები. სააკაშვილს ნამდვილად არ ეგონა, რომ მყისიერად დაიჭერდნენ, ანუ მას მისცეს საზღვრის გადმოკვეთის საშუალება, მისცეს საშუალება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სელფები და ვიდეო გადაეღო და ეს შემდგომ უკვე სასამართლოზე იქნა გამოყენებული მტკიცებულებად, რომ სააკაშვილმა რეალურად უკანონოდ გადმოკვეთა საზღვარი. ყველა სასჯელიც რომ მოეხსნას და ყველაფერში გამართლდეს, მარტო საზღვრის უკანონოდ კვეთაზე, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ვერც სტრასბურგის სასამართლო და ვერც ვერანაირი ინსტანცია ამას ეჭვქვეშ ვერ დააყენებს, რადგან ეს ერთმნიშვნელოვნად კანონის დარღვევაა. რაც შეეხება იმას, რომ კაკო ბობოხიძე „ნაცმოძრაობას“ ადანაშაულებს სააკაშვილის მძიმე მდგომარეობამდე მიყვანაში, სააკაშვილი უკვე ბევრი ადამიანისთვის ერთგვარი გაჭრილი კარტია, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მის მხარდამჭერ მიტინგებზე ხალხის რაოდენობა არითმეტიკული პროგრესიით მცირდება, აღარ მიდის მის მხარდასაჭერად იმდენი ხალხი, რასაც ის ელოდა.

**— ე.წ. ანორექსიის, ანუ ნებაყოფლობითი შიმშილის თემამაც არ უშველა სააკაშვილს და მის მომხრეებში თანაგრძნობა არ გამოიწვია?**

— ანორექსიის თემა კიდევ ცალკე საკითხია. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რატომ არის სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმებული? იმიტომ, რომ ის წინასწარ განზრახულად, გამიზნულად არ იღებს ცილოვან საკვებს, უარს ამბობს კონკრეტულ მედიკამენტებზე, სავარაუდოდ, ალბათ, კონსულტაციას გადის ექიმებთან, სადამდე შეიძლება ეს ყველაფერი გაგრძელდეს ისე, რომ საკუთარ ჯანმრთელობას მართლაც გამოუსწორებელი ზიანი არ მიაყენოს. ახლა ცდილობენ, შექმნილი ვითარებით ისარგებლონ და ამაზე ააგონ ნარატივი, თითქოს სააკაშვილი კვდება და საჭიროა მისი ციხიდან გაყვანა. ჩვენ ეს კინო ვნახეთ, როცა მან თავის დროზე შიმშილობა დაიწყო, როცა მისი ადვოკატები, სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კომისია და მისი პირადი ექიმი აცხადებდნენ, რომ საათებიღა რჩებოდა სიცოცხლისთვის სააკაშვილს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, არაფერი არ მოხდა, დამთავრდა ამ აგორებული სკანდალის ერთი ციკლი და ახლა ჩვენ უკვე მოწმენი ვართ მეორე ციკლის.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**



## თამაზ გაიაშვილი: ხელისუფალნო, აღკვეთეთ ამ ყოვლისმკადრებელი ძმები კოდუების დაუოკებელი პარპაში

**ყოველგვარი სიბინძურის მკადრებელმა ძმებმა კოდუებმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეკვეთილ ტელესიუჟეტში, რომელიც თითქმის ყველა ოპოზიციური ტელეარხით გადაიცა, საავიაციო ხელისუფლებასა და ჩემზე ბინძური თავდასხმა განახორციელეს და ცილი დაგვწამეს, არც მეტი, არც ნაკლები, ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში. თქვეს ისიც, რომ მე თურმე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ახლობელი ვყოფილვარ და ამიტომ დაუნიშნავს მას ავიაციის სააგენტოს დირექტორის მოადგილედ ბ-ნი გივი დავითაშვილი, რომელიც იქამდე „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორად მუშაობდა. მერე რა, თუ ბ-ნი დავითაშვილი თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის დროს კი არა, პრემიერ-მინისტრ ბახტაძის დროს დაინიშნა. აშკარა სიცრუე, ტელეეთერში გასვლის შემდეგ, საქართველოში ხომ „ბაჯაღლო ჭეშმარიტებად“ იქცევა-ხოლმე.**

**„დღეს ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად მსოფლიოში ცოტა თუ მოინახება ისეთი, ვისაც მიმდინარე პროცესები არ აწუხებს, მაგრამ ამ საყოველთაო დაძაბულობის ვითარებაშიც კი არსებობენ აღვირახსნილი ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ პირადი (თანაც, უზნეო და ამორალური) ინტერესები ასულდგმულებთ, და რაკი ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე თითქმის ყველაფერი ეპატიათ, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულნი, საზოგადოების შემაწუხებელ საქმიანობას არ ეშვებიან. დრო გადის, თაობები და ხელისუფლებები იცვლებიან, ისინი კი ბინძურ თამაშებს განაგრძობენ.**

**ძმებ კოდუებზე ვსაუბრობ.**

**მოგეხსენებათ, რომ საფრენოსნო ავიაცია მაღალტექნოლოგიური დარგია და, ამავე დროს, მომეტებული საფრთხის შემცველიცაა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ავიაცია, როგორც ულამაზესი სანახაობა, ბევრს იზიდავს, აქ არ არის ადგილი მოყვარულებისა და დილეტანტებისთვის, რომლებსაც ეს დარგი კინოფილმებიდან ან, უკეთეს შემთხვევაში, თვითმფრინავის ილუმინატორიდან უნახავთ. ამ დარგს ხშირად იმ კატეგორიის ადამიანებიც ეტმასნებიან, რომლებსაც ეჩვენებათ, რომ ეს მარტივი და მომგებიანი ბიზნესია. ასე მოუვიდათ კოდუებს, რომლებსაც ოცდახუთი წლის წინათ გადაწყვიტეს, რომ თვითმფრინავებით ეთამაშათ, ანუ ხალხის სიცოცხლით ეთამაშათ და ეს ყოვლად გაუმართლებელი მიდრეკილება დღემდე შემორჩათ. მათ სამოქალაქო ავიაცია „იყიდე-გაყიდე“ დონის ბიზნესი ჰგონიათ, სადაც, მათი აზრით, წესების გარეშე თამაში დასაშვებია. ხელისუფლებასა და მთავრობაში კი (არც ძველებსა და არც ახალში) ამ ხნის განმავლობაში ისეთი არავინ გამოჩნდა, ვინც ეტყოდა მათ — შეჩერდით, ეს არ არის თქვენი საქმე, გეყოფათ თამაში, კმარა თქვენი სახიფათო გატაცება!**

იხ. 4 გვ.




## თამაზ გაიაშვილი:

# ხელისუფალნო, აღკვეთეთ ამ ყოვლისმკადრებელი ძმები კოდუების დაუოკებელი პარაპაში

(მესამე გვერდიდან) ავიაცია განსაკუთრებით გიორგი კოდუას იტაცებს. მისი ეს სიყვარული ინფანტილური ბუნებიდან, გონებრივი უმწიფრობიდან და არამყარი ფსიქიკიდან მოდის. ერთგვარად მესმის კიდეც მისი ოჯახის წევრებისა, რადგან ამ საქმეში ხელის შეშლამ შესაძლებელია, მას ფსიქიკა უფრო დაუზიანოს, მაგრამ იმაზეც ხომ უნდა იფიქრონ, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება, მოყვეს ავიაციით ამ დილეტანტურ თამაშს ადამიანებისთვის, უდანაშაულო მგზავრებისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს.

კოდუები საქართველოში ცნობილი არიან უკეთური საქმეებით, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, თითქმის ყოველთვის ეპატიათ. მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, დაწყებული, გადასახადების დამალვით და დამთავრებული ოჯახური ძალადობით, ქონების გამოძალვით, წართმეული მანქანებით, შენობების მიტაცებით (მრავალი შენობა ჭავჭავაძის პროსპექტზე, „პირიმზის“ ცნობილი შენობა და უამრავი სხვა), რაზეც რატომღაც პასუხს არავინ სთხოვთ. ერთი სიტყვით, **ყოველგვარი სიბინძურის მკადრებელმა ძმებმა კოდუებმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეკვეთილ ტელესიუჟეტში, რომელიც თითქმის ყველა ოპოზიციური ტელეარხით გადაიცა, საავიაციო ხელისუფლებასა და ჩემზე ბინძური თავდასხმა განახორციელეს და ცილი დაგვწამეს, არც მეტი, არც ნაკლები, ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში. თქვეს ისიც, რომ მე თურმე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ახლობელი ვყოფილვარ და ამიტომ დაუნიშნავს მას ავიაციის სააგენტოს დირექტორის მოადგილედ ბ-ნი გივი დავითაშვილი, რომელიც იქამდე „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორად მუშაობდა. მერე რა, თუ ბ-ნი დავითაშვილი თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის დროს კი არა, პრემიერ-მინისტრ ბახტაძის დროს დაინიშნა. აშკარა სიცრუე, ტელეეთერში გასვლის შემდეგ, საქართველოში ხომ „ბაჯაღლო ჭეშმარიტებად“ იქცევა-ხოლმე.** „ჯორჯიან ეარვეისში“ ბევრი ადამიანი მუშაობდა, მრავალი ახალგაზრდა დაეუფლა ამ მაღალკვალიფიციური დარგის სპეციალობებს და ბევრი მათგანი სხვა და სხვა მიმართულებით აგრძელებს საქმიანობას სახელმწიფო სამსახურებში, რადგან კერძო სექტორიდან სახელმწიფო სამსახურში გადასვლა კანონმდებლობით არ იკრძალება. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ საიდან მოვიდა სახელმწიფო სამსახურში, მთავარია, იგი პროფესიონალი იყოს და მისთვის დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდეს. სამწუხაროდ, ძმები კოდუები ისე გათავხედდნენ, რომ უკვე სახელმწიფო სამსახურებზეც მიაქვთ იერიში და საკადრო პოლიტიკაში ხელის ფათურსაც არ ერიდებიან.

**მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას და შესაბამის სამსახურებს, რომ აღკვეთონ ამ ყოვლისმკადრებელი ძმების დაუოკებელი პარაპაში. თავიდან ბოლომდე შეისწავლონ მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული, რათა მათ დამსახურებისამებრ მიეზღოთ.**

რაც შეეხება „ჯორჯიან ეარვეისს“, მან არსებობის 30 წელიწადის განმავლობაში ურთულესი გზა გამოიარა, რადგან ქართულმა სახელმწიფომაც ანალოგიური გზებით იარა. ეს არ არის მოგებაზე ორიენტირებული ჩვეულებრივი ბიზნესკომპანია, ეს არის კომპანია, რომელიც სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა ყველა კრიტიკულ სიტუაციაში, აფხაზეთის ომიდან მოყოლებული, დღემდე. ამ ხნის განმავლობაში მრავალი უსამართლობა გადაგვიტანია, რაც მაღალი თანამდებობის პირების აშკარა თავგასულობასა თუ კომპანიის წინააღმდეგ წარმოებულ ფარულ დაპირისპირებაში გამოიხატებოდა. ყოფილა კრიმინალური გარჩევებიც და უკანონო პატიმრობებიც. ჩვენზე ბოლო შეტევა არცთუ დიდი ხნის წინათ, 2020 წელს, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მიერ განხორციელდა, რომელმაც ჩვენს ხარჯზე მოსახლეობის წინაშე ქულების ჩაწერა გადაწყვიტა. იმ დროს, როდესაც უცხოური ავიაკომპანიები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ, ჩვენ — ქართულ ავიაკომპანიას, სამართლიან პირობებში ჩვენი ჩაყენებისთვის ბრძოლა გვიწევდა. ყოველივე ამას ვუძლებდით და მომავალშიც გავუძლებთ, მაგრამ სახელმწიფომ, რომელსაც ერთგულად ვემსახურებით, ძმები კოდუების დამნაშავე კლანისა და მათი მსგავსი შარლატანების ცილისწამებისგან მაინც უნდა დაგვიცვას, რადგან ეს სახელმწიფოს კონსტიტუციური მოვალეობაა“!..

---

# პუტინისგან „გამოქცეული“ 20 ათასამდე IT ოსტატი ჩამოსულა თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში!



„თუკი რუს ტურისტებს ვიღებთ, მაშინ რატომ არ უნდა მივიღოთ IT (კომპიუტერული სისტემების) სპეციალისტები? მათი შემოსავალი 8-10-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო რუსი ტურისტის და გაცილებით მეტი ეკონომიკური ეფექტი მოაქვთ“, — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკოლოზ მჭედლიშვილი.

### საქართველოში „გამოქცეული“ რუსი სპეციალისტების შემოსავალი რამდენჯერმე აღემატება კახეთიდან რუსეთში ღვინის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს

**— საქართველოში რუსების შემოსვლას ჩვენი მოსახლეობა ორგვარად აღიქვამს. ერთნი მიიჩნევენ, რომ რუსები გარკვეულ თანხებს ტოვებენ საქართველოში და ეს ჩვენს ბიუჯეტს წაადგება, მეორენი კი თვლიან, რომ ანწუხელიძის, ტატუნაშვილის ქვეყანა არ უნდა იქცეს კომფორტის ზონად ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. კონკრეტულად, ასე მომრავლებული რუსი IT (კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების) სპეციალისტების საქართველოში ჩამოსვლას თქვენ, როგორც ამ დარგის სპეციალისტი, როგორ უყურებთ? ოკუპირებულ ქვეყანაში სად გადის ზღვარი ღირსებასა და სტუმართმოყვარეობას შორის?**

— მნიშვნელოვანია ის არგუმენტი, რომ ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია, ჩვენ ვართ ანწუხელიძის, ტატუნაშვილის ქვეყანა და კიდევ არაერთი ადამიანი დაიღუპა რუსეთთან ბრძოლაში, მაგრამ რა გვირჩევნია ჩვენ, რომ ვთქვათ, ჩვენს ღირსებას ვიცავთ და, საერთოდ, არც ერთი რუსი ტურისტი არ შემოვიდეს საქართველოში, არც რუსებთან ეკონომიკური ურთიერთობა გვქონდეს? ასეთი ურთიერთობა გავაგრძელოთ? ეს პერიოდი ჩვენ კარგა ხანია, რაღაცნაირად გადავლახეთ, რუსი ტურისტები ბოლო დრომდე შემოდიოდნენ, სანამ ჯერ კოვიდის კრიზისი და შემდეგ უკრაინაში ომი დაიწყებოდა, რომელმაც რუსეთი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ათეულ ათასობით რუსი IT სპეციალისტის ჩამოსვლა საქართველოში. არა მარტო რუსები, ბელარუსებიც ძალიან აქტიურად ჩამოდიან საქართველოში, უკრაინელების დიდი ნაწილიც ჩამოდის, მაგრამ მაინც მგონია, უკრაინელების უმეტესობა მიდის ევროპაში, ევროპამ მათ გაუხსნა საზღვრები. უკრაინელებისგან განსხვავებით, რომლებიც ევროპაში გადადიან, როგორც ლტოლვილები, რუსები და ბელარუსები ევროპაში ვერ მიდიან, რადგან ამისთვის ვიზები სჭირდებათ. მორალურად და იდეოლოგიურად რა უფრო მიუღებელია, რუსი IT სპეციალისტის ჩამოსვლა, თუ რუსი ტურისტის? ეს ჩემთვის ერთნაირია. თუ ჩვენ რუს ტურისტებს ვიღებთ, მაშინ რატომ არ უნდა მივიღოთ IT სპეციალისტი? მაშინ, როცა IT სპეციალისტის შემოსავალი დაახლოებით 8-10-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო რუსი ტურისტის. რუს „აიტიშნიკს“, რომელიც საქართველოში ჩამოდის და ბინას ხანგრძლივად ქირაობს, გაცილებით მეტი ეკონომიკური ეფექტი მოაქვს არა მარტო ეკონომიკური ეფექტი, ცოდნის გადმოცემაც ხდება. პოლიტიკა რომ მოვაშოროთ, სუფთა ეკონომიკურად შევხედოთ ამ საკითხს, ეს ძალიან კარგი შესაძლებლობაა.

**— გასაგებია, რომ რუსეთიდან IT სპეციალისტების გადინება პუტინსაც არ აწყობს, ის მზადაა, სამხედრო სამსახურშიც არ გაიწვიოს ისინი, ოღონდ ამ დარგის პროფესიონალები შეინარჩუნოს. კონკრეტულად, რა თანხას იღებენ კომპიუტერული სისტემების სპეციალისტები უცხოეთიდან ანაზღაურების სახით?**

— ჩათვალეთ, რომ საშუალოდ 4-5 ათასი დოლარი აქვს „აიტიშნიკს“, რომელიც საქართველოში მოდის. მარტო ბინის ქირის ფასი როგორ გაიზარდა, მინიმუმ 700 დოლარი ღირს საქართველოში. თანაც, რუსები და სხვა IT სპეციალისტები ბინებს ქირაობენ ძირითადად ცენტრში, საბურთალოსა და ვაკეში.

**— უკვე ბათუმშია მოთხოვნა, საზღვაო სეზონის მოახლოებასთან ერთად.**

— დიახ, ბათუმშიც მიდიან. პოლონეთში მიდიოდა მათი ნაწილი, ვარშა-



ვა, კრაკოვი მათთვის პოპულარული ქალაქებია, გადავსებულია და ბინას ვერ იშოვი. ამდენად, იმ თვალსაზრისით, რომ რუს ტურისტებს ვიღებდით, „აიტიშნიკები“ არ მივიღოთ, სრულიად გაუგებარია. მაშინ, თუ რუსეთი ოკუპანტია, კახეთში ვენახები საერთოდ არ უნდა გაშენდეს, რუსეთში ღვინო არ უნდა გავყიდოთ, ან რუსული პელმენი არ უნდა ვჭამოთ. იაპონური ბრენდები, მაგალითად, „ტოიოტა“ ომის დროსაც კი არ გასულა რუსეთიდან მაშინ, როცა ბმვ-მ და სხვა უცხოურმა ბრენდებმა დატოვეს რუსეთი. იაპონელებისთვის რუსეთი ოკუპანტია, კურილის კუნძულების დიდი ნაწილი წაღებული აქვს რუსეთს რამდენი ხანია, მაგრამ იაპონურმა ბრენდმა არ დატოვა რუსეთი. ამ დონეზე თუ დავიყვანთ ყველაფერს, მაშინ რაღაცაზე უნდა შეთანხმდეს ერი, კონსენსუსს უნდა მიაღწიოს ქართველმა ერმა, რა გვინდა და რა არ გვინდა რუსეთთან მიმართებით.

**— შესაძლოა, ამ ვითარებაში ყველაზე გამაღიზიანებელი ის ფაქტი იყოს, „ნაცები“ რომ ამოფარებიან ანტირუსულ პროპაგანდას მაშინ, როცა აგვისტოს ომის შემდეგ ლარსზე თავად შეეგება სააკაშვილი რუსებს და მისი სტუმართმოყვარეობით გაოცებულ რუსებთან ერთად ფოტოები გადაიღო... „ნაციონალებს“ თავი დავანებოთ, თუნდაც კონკრეტულად რუს IT სპეციალისტებში თუ არის განცდა, რომ საქართველო ოკუპირებულია მათი სამშობლოს მიერ? იქნებ, მათ არც საქართველო ადარდებთ, არც უკრაინა და მხოლოდ საკუთარი კომფორტის მოკლებასა და სანქციებს უფრთხიან?**

— ცხადია, პოპულიზმია „ნაციონალების“ და მათთან დაახლოებული პარტიების მხრიდან რუსების ჩამოსვლის გაპროტესტება. მეორე მხრივ, მისაუბრია ჩემს კოლეგებთან, IT სპეციალისტებთან, მათაც არ მოსწონთ, რაც ხდება უკრაინაში და იძახიან, რომ გამოვიქეცით იმიტომ, რომ რუსეთში უკვე შეუძლებელი იყო ცხოვრება. ესენი ისეთი ხალხია, რომელთაც მთელი მსოფლიო ეძებს. თავის დროზე იმავე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, თუ არ ვცდები, 5 პროცენტამდე დასწია საშემოსავლო გადასახადი საერთაშორისო კომპანიებში IT სფეროში დასაქმებული ქართველებისა და უცხოელებისთვის. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან თუ გინდა საქართველოში ტალანტის მოზიდვა, რომელსაც მთელი მსოფლიო ეძებს, ხელი უნდა შეუწყო მათ ჩამოსვლას.

**— კონკრეტულად საქართველოში რამდენი IT სპეციალისტი ჩამოვიდა?**

— 20-25 ათასი შეიძლება იყოს, რაც ძალიან დიდი ეკონომიკური ეფექტის მქონეა. მათი შემოსავლები რომ დავთვალოთ, რამდენჯერმე შეიძლება აღემატებოდეს კახეთიდან რუსეთში ღვინის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს, ანუ მთელი კახეთის ღვინის ეფექტს იძლევა ამ რამდენიმე ათასი ადამიანის ჩამოსვლა. თანაც, ეგენი ძალიან მაღალ ხელფასებს იღებენ არა რუსეთიდან, არამედ ძირითადად დასაქმებულნი არიან ამერიკულ და ევროპულ პროექტებში. შესაბამისად, ის ფული პირდაპირ ერიცხებათ საქართველოში გახსნილ ანგარიშებზე. ამიტომ მათგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი საკმაოდ დიდია და დიდი მსყიდველობითი უნარი გააჩნიათ. 2-3 წლის განმავლობაში კოვიდის ფონზე უძრავი ქონების ბაზარი, ბინების გაქირავება სტაგნაციაში იყო, ახლა კი ამდენი ადამიანის ჩამოსვლის გამო უკვე ჭირს ბინების შოვნა. თანაც, მარტო ბინა ხომ არ არის? რუსეთიდან, ბელარუსიდან ჩამოსულები დადიან სუპერმარკეტებში, სხედან რესტორნებში.

**— პირად საუბრებში შეიძლება ისინი გმობენ პუტინის რეჟიმს, მაგრამ საჯაროდ თუ ბედავენ პროტესტის გამოხატვას რუსული პოლიტიკის გამო და აწუხებთ თუ არა საქართველოს ოკუპაცია?**

— კი ბატონო, მეც მაწუხებს ეს საკითხი, რუსებს რომ ვხედავ, ოკუპაცია მახსენდება, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნე, რატომ არ ვამბობთ უარს რუს ტურისტზე, რატომ ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულეები რუსეთში?

**—სააკაშვილის პერიოდში ძალიან ბევრი რუსი, მათ შორის, სავარაუდო აგენტებიც შემოდიოდნენ და სახლდებოდნენ საქართველოში, მათ განსაკუთრებული ინტერესი უძრავი ქონების მიმართ ჰქონდათ. ამდენად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რუსეთის გავლენის აგენტები იმ დროიდან იყვნენ საქართველოში და არა მაინცდამაინც დღეს, როცა უკრაინაში ასეთი ომია?**

— არა მგონია, IT სფეროსთან რაიმე კავშირში იყვნენ რუსი აგენტები. ვფიქრობ, ყველაზე საშიში „აგენტები და ჯაშუშები“ არიან ქართველი აგენტები და ჯაშუშები, რადგან ყველანი ვხედავთ, რომელ პარტიას და რომელ პოლიტიკოსს რა რიტორიკა აქვს თუნდაც ახლა და რას აკეთებენ. შესაბამისად, მე რუსი აგენტების კი არ მეშინია, არამედ ქართველი გავლენის აგენტების, რომლებიც რუსული ინტერესების განხორციელებაზე მუშაობენ საქართველოში.

**— IT სპეციალისტები რომ გამოვრიცხოთ, ქართველ ექსპერტთა ნაწილი ღიად გამოხატავს შიშს, რომ პუტინისგან „გამოქცეულთა“ შორის არიან სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები, მათ შორის, კუნთმაგარი რუსებიც. როცა ქუჩაში გამვლელი რუსისგან გესმის „სლავა პუტინუ“, როცა გამაღიზიანებლად იქცევიან რუსები, ეს ხომ არ გამოიწვევს უფრო მეტ გაუცხოებას ჩამოსულთა მიმართ?**

— როგორც ვიცი, ჩამოსული რუსები ცდილობენ, ჩუმად იყვნენ. რაც შეეხება კუნთმაგარი ხალხის შემოსვლას, ასე კუნთმაგარი ირანელებიც შემოდიან, ჩვენც ვართ კუნთმაგრები და დავხვდებით. ქვეყანაში არსებობს კონტრდაზვერვა, ტურისტებიც რომ შემოდიოდნენ, ეს სამსახური მაშინაც აკონტროლებდა ვითარებას. ცხადია, ჩვენს მეზობელ ქვეყნებს აქვთ ინტერესები ჩვენს მიმართ. შესაბამისად, სხვა ქვეყნებსაც ჰყავთ აგენტურა საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციების საფარქვეშ. 20 ათასი „აიტიშნიკის“ ჩამოსვლით კი არაფერი იცვლება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

**— მაგრამ გამოწვევად რჩება, რომ ამ ადამიანებს არ სურთ, ღიად დაგმონ ოკუპაცია.**

— მეც მომხრე ვარ, დაგმონ ოკუპაცია, ან პეტიცია შეადგინონ და მოაწერინონ ხელი ერთმანეთს. ჩვენ ახლა თვალებში გვეჩხირებიან „აიტიშნიკები“, რადგან ყველაზე მობილური ხალხია და მათთვის არა აქვს მნიშვნელობა, პოლონეთში იქნებიან, თურქეთში, სომხეთში თუ საქართველოში. მათთვის მთავარია კომპიუტერი და ინტერნეტი, მეტი არაფერი.

ესაუბრა
**ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**




## ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ:

# ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲩᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲢᲝᲕᲐ!

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲭᲠᲐ?

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ BLOOBBERG-ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲐᲥᲪᲔᲕᲡ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲙᲣᲠᲡᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲝ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲬᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ.

## ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ?

**BLOOBBERG–ის ორი წყარო ირწმუნება, რომ უკრაინაში შეჭრის გადაწყვეტილება პუტინმა რამდენიმე „ქორთან“ ერთად მიიღო. მათ შორის არიან თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი ვალერი გერასიმოვი და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი.**

სააგენტოს ცნობით, უკრაინაში შეჭრიდან რამდენიმე კვირაში პუტინის მრჩეველთა წრე და კონტაქტები კიდევ უფრო შეიზღუდა. იქამდე კი ის რეგულარულ კონსულტაციებს გაცილებით მრავალრიცხოვანი ჯგუფისგან იღებდა. უკრაინაზე თავდასხმიდან თითქმის რვა კვირის შემდეგ, მსხვერპლის რაოდენობა სულ უფრო იზრდება და რუსეთი უპრეცედენტო საერთაშორისო იზოლაციის წინაშე დგას. „კრემლის მაღალჩინოსნების მცირე, მაგრამ მზარდი რაოდენობა ომის დაწყების გადაწყვეტილებას ჩუმად ეჭვქვეშ აყენებს“.

## „ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ“

**ᲐᲗᲐᲛᲓᲔ რესპონდენტზე დაყრდნობით, BLOOBBERG–ი ირწმუნება, რომ ომის კრიტიკოსები რუსეთის სამთავრობო და სახელმწიფო ბიზნესში მაღალ თანამდებობებს იკავებენ. მათ მიაჩნიათ, რომ უკრაინაში შეჭრა იყო კატასტროფული შეცდომა, რომელიც ქვეყანას წლებით უკან დააბრუნებს.**

აღსანიშნავია, რომ ყველა წყარო სააგენტოს ანონიმურობის დაცვის პირობით ესაუბრა, რადგან შიშის ფაქტორი საკმაოდ დიდია. ჯერჯერობით ეს ადამიანები ვერ ხედავენ ვერანაირ შანსს, რომ პუტინი თავის პოლიტიკას შეცვლის. მათი თქმით, რუსეთის პრეზიდენტი სულ უფრო დამოკიდებული ხდება რადიკალურ მრჩეველთა ვიწრო წრეზე და ის უგულებელყოფს სხვა ოფიციალური პირების მცდელობებს, რომ პუტინი მოსალოდნელი ეკონომიკური და პოლიტიკური დანაკარგების შესახებ გააფრთხილონ.

BLOOBBERG-ის ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, ისინი აშშ-ის დაზვერვის ჩინოვნიკების მოსაზრებას იზიარებენ, რომ პუტინი შეიძლება ბირთვული იარაღის შეზღუდულ გამოყენებაზეც წავიდეს, თუკი წარუმატებელი აღმოჩნდება მისი კამპანია, რომელსაც ის თავის ისტორიულ მისიად მიიჩნევს. **„რა თქმა უნდა, პუტინის ომს რუსული ელიტის უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს. ბევრი ინსაიდერი საჯაროდ და პირად საუბრებშიც მხარს უჭერს კრემლის ვერსიას, რომ დასავლეთთან კონფლიქტი გარდაუვალი იყო და რუსეთის ეკონომიკა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ დაწესებულ ფართომასშტაბიან სანქციებთან ადაპტირდება. საზოგადოების მხარდაჭერაც ძლიერია, რადგან სანქციების თავდაპირველი შოკი და ზარალი რუსეთში ერთგვარმა სიურრეალისტურმა სტაბილურობამ ჩაანაცვლა“,** — ვკითხულობთ სტატიაში.

**რუსეთსა და უკრაინას შორის ომის გარდაუვალობის შესახებ გზავნილები პუტინის გამოსვლებში რეგულარულად ისმის. თუმცა სულ უფრო და უფრო მეტი რუსი მაღალჩინოსანი მიიჩნევს, რომ ომის გაგრძელების შესახებ პუტინის დაჟინება რუსეთს წლების განმავლობაში იზოლაციაში მოაქცევს და მისი გლობალური გავლენის შესუსტებას გამოიწვევს,** — ასკვნის BLOOBBERG-ი.

## „ᲕᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲐᲒᲕᲔᲮᲡᲜᲐ“

**ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ მიერ გამოკითხული რესპონდენტები ამბობენ, რომ მაღალი თანამდებობის პირები ცდილობდნენ, პუტინისთვის სანქციების დამღუპველი ეკონომიკური გავლენა აეხსნათ. თუმცა პუტინმა ეს გაფრთხილება უგულებელყო. მან თქვა, რომ მართალია, რუსეთს დიდი საფასურის გადახდა მოუწევს, მაგრამ მას ომის გაჩაღების გარდა დასავლეთმა სხვა არჩევანი არ დაუტოვა.**

პუტინმა საჯაროდ ისიც განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ „ეკონომიკური ბლიცკრიგის“ მცდელობა ჩაიშალა. **„გათვლა იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა სწრაფად შეერყიათ, გამოეწვიათ ბაზრებზე პანიკა, საბანკო სისტემის კოლაფსი და საქონლის მასშტაბური დეფიციტი მაღაზიებში. უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთთან მიმართებით ასეთი პოლიტიკა ჩავარდა, ეკონომიკური ბლიცკრიგის სტრატეგიამ ვერ იმუშავა“,** — თქვა მან.

ᲘᲮ. 8 ᲒᲕ.



# რუსეთის ნდობა არა და არ შეიძლება!

**ცივილიზებული სამყაროს მიერ რუსეთისთვის უკრაინაში ომის გაჩაღების საპასუხოდ დაწესებული უპრეცედენტო სანქციების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლი, მათ შორის, რუსულ გაზზე დამოკიდებული ევროპული ქვეყნების დაშანტაჟებას შეუდგა, — სწორედ ამგვარად აღიქვამენ ევროკავშირში ჯერ გაზის „არამეგობრული ქვეყნებისთვის“ მხოლოდ რუბლში მიყიდვის გადაწყვეტილებას, შემდეგ კი ამ რესურსის ბულგარეთისა და პოლონეთისთვის მიწოდების შეწყვეტას. სადღეისოდ ევროკავშირის მოხმარების დაახლოებით 40% რუსულ გაზზე მოდის, თუმცა მასზე დამოკიდებულება ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რაც რუსეთისთვის უდიდესი ფინანსური სარგებლის მიღების ამ მნიშვნელოვანი არხის სწრაფად გადაკეტვას და ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნების ერთიანობის მიღწევას ნიშნავს.**

## რუსული გაზისგან ევროპის ჩახსნა: აზერბაიჯანის პოტენციალი და საქართველოს მიზნები

**„ჩვენ უკრაინას 1 მილიარდი ევრო მივეცით. შეიძლება, ბევრად მოგეჩვენოთ, მაგრამ 1 მილიარდი ევრო არის ის თანხა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვუხდით პუტინს ენერგიისთვის, რომლითაც გვამარაგებს. ომის დაწყებიდან დღემდე ჩვენ მათ 35 მილიარდი ევრო გადავუხადეთ. შეადარეთ ამას 1 მილიარდი, რომელიც უკრაინას მივეცით შეიარაღებაში — ეს გიგანტური სხვაობაა“,** — განაცხადა ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში ევროკავშირის უზენაესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკაში **ჟოზეფ ბორელმა** რუსულ ენერგორესურსებზე ევროპის დამოკიდებულების შემცირების აუცილებლობაზე საუბრისას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების მრავალწლიანი პრინციპის — სრული კონსენსუსის გადახედვის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ.

ამასთანავე, ევროპულმა ქვეყნებმა ალტერნატიული წყაროების აქტიურად მოძიება დაიწყეს და გაჩნდა, მათ შორის, ინტერესი აზერბაიჯანული გაზის მიმართ. **აზერბაიჯანიდან გაზის მიწოდების გაორმაგების ინტერესს გმოხატავენ“, —** განაცხადა ამასთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა**. მსგავს პერსპექტივას ოპტიმისტურად უყურებს აზერბაიჯანელი ანალიტიკოსი **ენგინ ოზერიც**:

**„ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ საექსპორტო პოტენციალის გამოყენება, რომელიც აზერბაიჯანს გააჩნია — წელიწადში ექსპორტის 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდა. ევროპული ქვეყნები სერიოზულად არიან დაინტერესებული აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის მიწოდების გაზრდით და რუსული გაზის ჩანაცვლებით. დღეს ევროპა 40%-ით დამოკიდებულია რუსულ გაზზე, 20%-მდე - ნორვეგიულ გაზზე, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებზე მოდის. ვხედავთ, რომ ერთ წყაროზე დამოკიდებულება დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ძალიან რთულია. ჩვენს ქვეყანას საკმარისი რესურსი აქვს. ჩვენს გარდა, არიან ასევე თურქმენეთი და უზბეკეთი. მათი გაზის მიწოდება ევროპაში აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით შეიძლება. ამგვარად, აზერბაიჯანის როლი ენერგეტიკულ სექტორში გაიზრდება და ჩვენი ქვეყანა ევროპასთან სტრატეგიული პარტნიორობის ახალ დონეზე გადავა“.**

### საქართველოს მიზნები

ენერგეტიკოსი **გია არაბიძე** „აქცენტთან“ განმარტავს, რომ საქართველოზე გამავალ სამხრეთკავკასიურ გაზსადენს საპროექტო მნიშვნელობით, 20 მილიარდამდე კუბური მეტრი გაზის გატარების შესაძლებლობა აქვს. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სადღაც 3-4 წლის წინ 7-8 მილიარდი გადიოდა, გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

**„ამ გაზსადენს უკვე შარშან ჩაება TANAP (მილსადენი, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით გადის). შედეგად სამხრეთკავკასიური დერეფნით გაზი შედის საბერძნეთში, ალბანეთსა და იტალიაში. შარშანდელი განაწილება ასეთი იყო: ჯამში გავიდა 8 მილიარდამდე კუბური მეტრი, აქედან 6,7 მილიარდი მიიღო იტალიამ, დანარჩენი — საბერძნეთმა და ალბანეთმა. თუ გატარებული გაზის მოცულობა 20 მილიარდამდე გაიზრდება, ევროპას ჩვენი მიმართულებიდან გაზის მიწოდება მნიშვნელოვნად გაეზრდება“.**

ენერგეტიკოსი კიდევ ერთ შესაძლებლობაზე და მასში საქართველოს ინტერესზეც ამახვილებს ყურადღებას:

**„საუკუნის დასაწყისში არსებობდა პროექტი „ნაბუქო“, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანს „ებმებოდა“ თურქმენეთი და ეს რუსული მიწოდებების ძალზე სერიოზული ალტერნატივა ხდებოდა. მაგრამ მაშინ რუსებმა იმდენი შეძლეს, რომ ევროპას პროექტის დაფინანსება გადააფიქრებინეს და ის ფაქტობრივად, აზერბაიჯანში დასრულდა. დღეს არის საშუალებები, ყაზახეთიც და თურქმენეთიც „ჩაებან“ პროექტში — მივიდნენ (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) კასპიის ზღვამდე და შემდეგ სამხრეთ კავკასიურ გაზსადენს შემოუერთდნენ. დაგეგმილია, რომ დაახლოებით 30 მილიარდამდე გაიზარდოს ამ გაზსადენის მიერ გატარებული გაზის მოცულობა. ამას ცხადია, უამრავი სამუშაო დასჭირდება, მაგრამ მსგავსი შესაძლებლობა არსებობს. ეს ძალიან კარგი ციფრია, მათ შორის, საქართველოსთვისაც: ჩვენ მართვაში ჩაბმულები არ ვართ, მაგრამ გამტარები ვართ და რაც მეტი გაზი გაივლის, მით მეტი დაგვრჩება გატარების საფასურად. წლევანდელი ბალანსი ასეთია: მოხმარება 2,7 მილიარდ კუბურ მეტრამდეა — „სოციალური გაზი“ (დაბალფასიანი, რომლის კონტრაქტსაც ვადა 2026 წლამდე აქვს), აგრეთვე გატარების 5%, რომელიც ჩვენთან მოდის, — შარშან 1 მილიარდი იყო, წელს კი 1 მილიარდ 200 მილიონამდე გაიზარდა. რაც მეტი გაივლის, ქვეყანას მეტი რჩება“.**

### რუსული გაზის ჩანაცვლების შესაძლებლობა

**არაბიძე იხსენებს, რომ გასულ წელს ევროპამ 150 მილიარდი კუბური მეტრი რუსული გაზი მოიხმარა, რაც ევროპის მოხმარების დაახლოებით 40%-ია და რუსეთის მიერ გაყიდულის 70%.** ბუნებრივია, სამხრეთ კავკასიური გაზსადენი რუსული გაზის მოხმარებას მთლიანად ვერ ჩახსნის, მაგრამ თითოეულმა ქვეყანამ საკუთარი გეგმა დასახა:

- **გერმანიამ, რომელიც დაახლოებით 47 მილიარდ კუბურ მეტრ რუსულ გაზს მოიხმარს (55%-ით არის დამოკიდებული რუსულ გაზზე), შეძლო, რომ ეს დამოკიდებულება 35%-მდე ჩამოეყვანა. ევროპაში მიწოდებული გაზის 30% ელექტროენერგიის გამომუშავებას ხმარდება, ამიტომ მათ ბალანსი შეცვალეს, მაქსიმალურად გამოათავისუფლეს გაზი ელექტროენერგიის წარმოებისგან და ძირითადად მოსახლეობის მოხმარებისთვის დატოვეს. გერმანიას სერიოზული გეგმა აქვს: ყატართან გააფორმა მსხვილი ხელშეკრულება თხევადი გაზის მიწოდების თაობაზე. 3 მილიარდი ევრო გამოყო გემების დასაქირავებლად, რომლებიც ქვეყანაში თხევად გაზს შეიტანენ. ცხადია, თხევადი გაზის აირად გადაქცევაა საჭირო, რათა ის მოსახლეობას მიეწოდოს. სამწუხაროდ, გერმანიას ტერმინალი არ გააჩნია, ამიტომ სასწრაფო მშენებლობა დაიწყო და ამბობს, — „10 თვეში დავასრულებ, დავიწყებ თხევადი გაზის მიღებას და მალე რუსეთისგან გავთავისუფლდებიო“.**
- **რუსული გაზის კიდევ ერთი ყველაზე მსხვილი მომხმარებელი იტალიაა 38%-იანი დამოკიდებულებით. მაგრამ დაიწყო ესპანეთისა და იტალიის გაზსადენების მშენებლობა: ესპანეთს თხევადი გაზის მისაღები ინფრასტრუქტურა ყველაზე უკეთ აქვს განვითარებული, ასევე საუბრობს კონგოსთან, პლუს - სამხრეთ კავკასიური მილსადენი და ქვეყანა ბალანსირებას კარგად შეძლებს.**
- **ყველაზე დიდი მომხმარებელი ავსტრიაა, ის დაახლოებით 80%-ითაა დამოკიდებული რუსულ გაზზე, მაგრამ ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა მერყევი და გაუგებარია ამ მიმართულებით.**
- **პოლონეთმა რუსული გაზისგან თავი მთლიანად გაითავისუფლა — მაისიდან ლიეტუვიდან დაიწყებს გაზის მიღებას. ამასთან, ოქტომბრისთვის ბალტიის ფსკერით ნორვეგიიდან პოლონეთში გაზის შეყვანა უნდა დაიწყოს; ქვეყანას აქვს თავისი გაზიც და ასევე აქვს ძალიან კარგი ტერმინალები თხევადი გაზის შესანახად, აქვს გაზსაცავები, რომელიც სადღეისოდ თითქმის 80%“ით დატვირთულია.**
- **რაც შეეხება ბულგარეთს, ქვეყანას სამხრეთკავკასიური გაზსადენიდან ჯერ კიდევ 2013 წელს უნდა მიეღო 1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, მაგრამ აქაც რუსული ჩარევით გაჩერდა საბერძნეთ-ბულგარეთის გაზსადენის მშენებლობა, ახლა კი პროცესი ძალიან სწრაფი ტემპით აღდგა და დასრულებასაც მალე ელიან?.**

ექსპერტი ასკვნის, რომ ევროპაში ძალიან სწრაფი ტემპით მიდის მუშაობა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს რუსული ენერგორესურსების მოხმარება, თუმცა სანქციების მოქმედებას, რომელიც აუცილებლად მიაღწევს მიზანს, გარკვეული დრო სჭირდება:

**„აქამდეც მოგვარდებოდა ეს საკითხი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „გაზპრომმა“ გასული წლის სექტემბრიდან ბაზარზე დიდი დეფიციტის ხელოვნურად შექმნა შეძლო, რამაც სავაჭრო პლატფორმებზე ფასი გაზარდა და კომპანიას, მიუხედავად იმისა, რომ 1/3-ით აქვს ევროპისთვის გაზის მიწოდება შემცირებული (და კიდევ 50 მილიარდით შემცირებაზე საუბრობს), გაცილებით მეტი მოგება დარჩა. სწორედ ეს პრობლემა დგას მძიმედ. ეს არის „უსისხლო ომი“, რომელიც დღეს ევროპაში მიდის“.** ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ წლის ბოლოსთვის რუსეთის ენერგორესურსების მოხმარების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ, რუსეთისთვის არასახარბიელო სურათს მივიღებთ:

**„ნახშირის მიღება გაჩერდა, აგვისტოდან ნავთობის გატანაც გაჩერდება. გარდა ამისა, ზუსტად იგივე „ნაბუქო“ არ გაკეთდება, მაგრამ იდეოლოგია — ევროპის გაზი წამოსული იყო აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან, ისევ ამოტივტივდება ზედაპირზე და თუ ევროპა შეინარჩუნებს არსებულ პოზიციას — რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, ალტერნატიული წყაროები ნამდვილად არსებობს, მათ შორის, ნორვეგიის რესურსის გათვალისწინებით“.**

## ბოლო ორ თვეში მიგრანტებმა საქართველოში 300 მილიონი ლარი დახარჯეს

**„ტურიზმის სექტორის დინამიკა, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ სეგმენტში შედიან ის ადამიანებიც, რომლებიც უფრო მიგრანტების კატეგორიაში გადიან, ვიდრე ტურისტების, ამ მიმართულებით ვითარება გამორჩეულია“,** — ამის შესახებ რადიო „კომერსანტზე“ გიორგი აბაშიშვილის საავტორო გადაცემაში „ბიზნესინსაიდერი“ ჯიპას პროფესორმა და ეროვნული ბანკის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ კაკულიამ განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე, მიგრანტების რაოდენობა თებერვალში და მარტში მკვეთრად გაიზარდა.

**„მათი უმეტესობა აგრესორი ქვეყნის ტერიტორიიდან შემოვიდა, რუსეთის და ბელარუსის მოქალაქეებთან შედარებით უკრაინელების რაოდენობა ნაკლებია, თუმცა ისინი ტექნიკურად მაინც ტურისტებად განიხილებიან. მათ საქართველოს ტერიტორიაზე სერიოზული ხარჯები გაიღეს: ამ ხარჯების საერთო მოცულობამ, ზოგიერთი შეფასებით, ბოლო ორ თვეში 300 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ადამიანებს აქვთ იმის საშუალება, რომ გარკვეული სახსრები რუსეთის ფედერაციიდან მიიღონ, ეს ერთჯერადი ეფექტი არ ყოფილა“.**

კაკულიას თქმით, იმის პროგნოზირება, თუ რა პერიოდით გაჩერდებიან ეს ადამიანები საქართველოში, რთულია, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პროფესიის არიან ეს ადამიანები და რა საქმიანობას ეწევიან ისინი საქართველოში.

**„მაგალითად, იგივე IT სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც დისტანციურად მუშაობენ და საკმაოდ ბევრნი არიან, ჩარიცხვებს იღებენ არა მარტო რუსეთის ფედერაციიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც. გარდა IT სექტორისა, შეიძლება შეგვხვდეს სხვა ტიპის მომსახურება, რომელსაც ეს ადამიანები ეწევიან და იღებენ შემოსავალს, რომელიც საქართველოში ერიცხებათ. ამასთან არის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დიდ ხანს არ დარჩება საქართველოში და სხვა ქვეყანაში გადაინაცვლებს, ან დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში“.**

თაკო კვაჭანტირაძე



# ჩინებული შემოქმედი

## თამარ ჯავახიშვილი – 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი **თამარ გრიგოლის ასული ჯავახიშვილი**. იუბილარს საქართველოს მწერალთა კავშირმა მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ძვირფასო ქალბატონო თამარ!**

**ჩვენო საყვარელო კოლეგავ!**

**საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, სიკეთით და სათნოებით გამორჩეულ მანდილოსანს, დიდ ქართველ ბანოვანთა ღირსეულ შთამომავალს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლისთავს. ვინც თვალს ადევნებს თქვენ მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას, შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ეს წლები კეთილშობილების, სიწმინდის, პატიოსნების და ერთგულების ტვიფარითაა ამოკვეთილი...**

**რა სიმბოლურია, რომ თქვენი პოეტური ხელდასხმა 1957 წელს ჩვენს ალმა მატერში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა, როდესაც უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ალმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები.**

**დიდი ადამიანური სევდა და ნაღველი გამოარჩევს თქვენს ლექსებს, რომლებმაც ისეთ კრებულებში დაივანა, როგორიცაა „ლექსები“ და „სანამ გვახსოვს“. ისინი თავს გვამახსოვრებენ დახვეწილი გემოვნებითა და ნატიფი პოეტური კულტურით, ბუნებრიობით და უშუალობით. რა კოლორიტული, ფიქრიანი შემოქმედი ბრძანდებით, რა ერთნაირი ძალმოსილებით ფლობთ როგორც ტრადიციულ კლასიკურ ფორმებს, ისე თავისუფალ ლექსსაც და ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტ ქართველ პოეტად რჩებით, რომლის მახსოვრობის ულრანებში შემორჩენილა ის შემზარავი სურათები, დღესაც რომ გვაფორიაქებს და მოსვენებას გვიკარგავს. თუ რამ გენატრებათ, სითბო გენატრებათ, ადამიანური სითბო სულიერად გაუდაბნოებულ მამულში. თავად კი სრულად იხარჯებით მოყვასის სიყვარულში, თუმცა ადამიანი რაა, ღაბუა ჩიტსაც კი შეგიძლიათ უწილადოთ გულის სითბო, იმ ჩიტს. ქაშუეთის ტაძრის ჯვარზე ფეხს რომ ვერ იკიდებს და პაწაწკინტელა ალამივით ფართქალებს, მშვიდობის, სიკეთის, სათნოების ალამივით...**

**თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, პოლონურ, რუსულ ენებზე, გამოქვეყნდა ისეთ ანთოლოგიებში, როგორიცაა ქართული პოეზიის ორტომეული და თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია.**

**სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის კინოგაქირავების სარეკლამო ბიუროში მთარგმნელად, კინოკორპორაცია „ქართული ფილმის“ აღსადგენი და სადუბლიაჟო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორად და ყველგან ქართული ხელოვნების ჭირისუფლად გევლინებოდით...**

**ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერანაირად ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ როგორც პოეტი იტყოდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს ქართული მწერლობის კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის ქარსაცავ ზოლს წარმოადგენდით, როგორც მეუღლე და თანამებრძოლი.**

**თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება გიორგი ლეონიძისა და ანა კალანდაძის სახელობის პრემიებით აღინიშნა.**

**ქალბატონო თამარ!**

**კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი მიზნების განხორციელებას.**

**საქართველოს მწერალთა კავშირი**



# ჯანმრთელი სიბერე და ხალხის სიყვარული რჩეულთა ხვედრია

## რევაზ ტაკიძე – 80

გამოჩენილი ქართველი დირიჟორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „მეტრის“ ნომინანტი **რევაზ ტაკიძე** დაიბადა ბათუმში 1942 წლის 29 აპრილს, 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო, 1973 წელს კი, სადირიჟორო ფაკულტეტი (ცნობილი მაესტროს ოდისეი დიმიტრიადის კლასი), 1967 წლიდან იგი ამავე კონსერვატორიის თანამშრომელია. 2000-2013 წლებში საოპერო მომზადების კათედრის გამგე იყო, მისი ხელმძღვანელობით დაოსტატდნენ ახალგაზრდა მომღერლები, ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც არიან: პაატა ბურჭულაძე, ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, ქეთევან ქემოკლიძე, გიორგი გაგნიძე და სხვები. ამჟამად რევაზ ტაკიძე კონსერვატორიის ემერიტუს-პროფესორია.

რევაზ ტაკიძე ხშირად გამოდის სიმფონიური მუსიკის კონცერტებით, მასთან უთანამშრომლიათ აღიარებულ მუსიკოსებს: ზ. ანჯაფარიძეს, ნ. ანდღულაძეს, ზ. სოტკილავას, თ. ამირეჯიბს, ი. კავსაძეს, თ. გუგუშვილს, ე. გეწაძეს, თ. მუშკუდიანს, ლ. ჭყონიას, მ. ამირანაშვილს და სხვებს.

მაესტროს ჩატარებული აქვს ო. თაქთაქიშვილის, ნ. გუდიაშვილის, ვ. აზარაშვილის და სხვების საავტორო კონცერტები, აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა სიმფონიური მუსიკის საღამოები, საგასტროლო კონცერტებსა და სპექტაკლებს დირიჟორობდა რუმინეთში, ისრაელში, მალტაზე, რუსეთში, უკრაინაში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებში. ბოლო წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ გამოცემული და მომზადებული არაერთი ქართული ოპერის კლავირისა და პარტიტურის რედაქტორი და მთავარი რედაქტორია.

თბილისის საოპერო თეატრში მის რეპერტუარში ათობით საოპერო და საბალეტო სპექტაკლია, ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად დადგმული აქვს დავით თორაძის „გორდა“ და ლუდვიგ მინკუსის „ბაიადერა“, მიხაილ ლავროვსკისთან ერთად — სერგეი პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, 1991 წელს გიგა ლორთქიფანესთან ერთად განხორციელებული „ქეთო და კოტესთვის“ რევაზ ტაკიძეს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ღვაწლმოსილ დირიჟორს რევაზ ტაკიძეს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ, სიურპრიზი მოუწყო — მიმდინარე წლის 29 აპრილს გაიმართა ვიქტორ დოლიძის ოპერა: „ქეთო და კოტე“ ავქსენტი ცაგარელის კომედიის „ხანუმას მიხედვით“, სპექტაკლს ზეპირად დირიჟორობდა რევაზ ტაკიძე.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბადრი მაისურაძემ ისაუბრა რევაზ ტაკიძის ღვაწლზე, მან ხაზი გაუსვა მის თავმდაბლობას — მაესტრომ სასტიკი უარი განაცხადა ვარსკვლავის გახსნაზე. სპექტაკლში მონაწილე წამყვანი პარტიების შემსრულებლებმა იუბილარს წითელი და თეთრი ვარდებით მიულოცეს 80 წელი, 80 ვარდით ხელდამშვენებულმა ხელოვანმა ვიქტორ დოლიძის ბრწყინვალე ოპერის მუსიკის ფონზე სამადლობელი სიტყვა ბრძანა: ჯანმრთელი სიბერე რჩეულთა ხვედრია და დიდი მადლობა გადაუხადა ოპერის ხელმძღვანელობას და მაყურებელს ამ დაუვიწყარი საღამოსთვის. საჩუქრად გადასცეს დიდი ფერწერული ტილო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა.

დამსწრე საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრება ეს შთამბეჭდავი საღამო, რომელიც ფეიერვერკით დასრულდა.

**ნანა ჭიჭინაძე**

# საქართველოზე გულდათუთქული პოეტის საღამო

**პოეზიის დღესთან დაკავშირებით, პირველად თბილისის საკრებულოში ქართველი პოეტის ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ღონისძიება დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით შედგა.** პოეზიის საღამოს საკრებულოს თავმჯდომარე და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.



# რეზო ჩხიკვიშვილი კარიერას ასრულებს



**ქართველი მსახიობი სცენას გერმანიაში ფრიდრიხ გრილოს სახელობის თეატრში ქართველი ავტორის, ნინო ხარატიშვილის გახმაურებული რომანის „მერვე სიცოცხლის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლით გამოემშვიდობა.**

რეზო ჩხიკვიშვილი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გერმანიაში მოღვაწეობდა.




# „ძაგება“

**გამოვიდა ცნობილი მთარგმნელისა და ფილოსოფოსის ვიქტორ რცხილაძის წიგნი სახელწოდებით „ძაგება“, აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ ფილოსოფიური საპოლემიკო წერილები, არამედ მძაფრი პოლიტიკური კრიტიკაც, ვინც ამას იმსახურებს.**

**წიგნი იყიდება მაღაზია „ლატერნაში“, ც. დადიანის ქ. 17.**

**ტელ: 555-18-02-04, 599-53-96-16.**

# „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — დუმბაძელთა ახალი ხედვა

**ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ საპრემიერო ჩვენებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.**



ნოდარ დუმბაძის ცნობილი ნაწარმოების — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მიხედვით, ექსპერიმენტული და ახლებური ხედვით დადგმული სპექტაკლი, მაყურებელს რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა შესთავაზა. სპექტაკლში ერთმანეთთან სინთეზურად არის შერწყმული ელექტრონული და კლასიკური მუსიკალური ჟანრის ნაწარმოებები. საგანგებოდ სპექტაკლისთვის ვახტანგ ქორიძის მიერ შეიქმნა ფაქიზოსა და მურადას თოჯინები. ექსპერიმენტული წარმოდგენა ეძღვნება ომს, მეორე მსოფლიო ომში მყოფ ადამიანებს, მათ ურთიერთობას ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან.

**ოკუპირებული ცხინვალიდან რუსეთ-უკრაინის ომში წასული მოხალისე მებრძოლების რეპუტაცია რომ შელახულია, ეს დე ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვლადიმირ ფუხაევმა უკვე ღიად დაადასტურა.**



# ბანდფორმირებებთან გათანაბრებული ცხინვალელი მოხალისეები

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვლადიმირ ფუხაევი, რომელიც, ოფიციალური ცნობით, დონეცკში „სამუშაო ვიზიტით“ იმყოფება, რუსულ სახელმწიფო გამოცემა „ТАСС“-თან საუბარში აცხადებს, რომ უკრაინაში რუსეთის მხარეს მებრძოლ მოხალისეებს სტატუსი უნდა მიენიჭოთ. ფუხაევის განცხადებით, ოსი მოხალისეების დანაყოფი უშუალო კავშირზე უნდა იყოს სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული მეოთხე რუსული სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობასთან, სადაც ოსი მოხალისეები მსახურობენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, მათი ძალაც იქნეს გამოყენებული.

**„დონბასში ძალიან ბევრი მოხალისეა სამხრეთ ოსეთიდან. მათთან შეხვედრისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ისინი უზარმაზარ პრობლემას აწყდებიან, როდესაც მათ ბანდფორმირებებთან ათანაბრებენ და ფრონტის წინა ხაზზე მათი ჩართვა არ ხდება. ეს არის მოხალისეების დანაყოფი, რომელიც სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსებისგან შედგება და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ბრძოლის ველზე დაეხმარონ თანამემამულეებს“,** — განაცხადა ფუხაევმა. შელახული იმიჯის გამოსასწორებლად, ოკუპირებულ ე.წ. დონეცკის რესპუბლიკაში, ორიოდე კვირის წინ, ჯერ დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ჩავიდა. ცხინვალში დაბრუნების შემდეგ კი, ყოფილი ე.წ. პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა, რომელსაც უკრაინის ომში გასაგზავნი მოხალისეების კოორდინაცია დაევალა. ცხინვალელი მოხალისეების რეპუტაცია კი მას შემდეგ განადგურდა, რაც 300-მა მოხალისემ და ჯარისკაცმა ბრძოლის ველი თვითნებურად მიატოვა და შინ დაბრუნდა. დაბრუნებამდე და მას შემდეგაც ისინი საშინელ პირობებზე ლაპარაკობდნენ. ნათესავებისთვის გაგზავნილ ხმოვან შეტყობინებებში აცხადებდნენ, რომ აღჭურვილობისა და ნორმალური ტექნიკის გარეშე, პირდაპირ ბრძოლის ველზე გააგზავნეს და მათ „საზარბაზნე ხორცად“ იყენებდნენ. ოსურ საზოგადოებაშიც, მოხალისეების და ჯარისკაცების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ნაწილი მათ გმირებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ მცირე ერის წარმომადგენლებს წინა ხაზზე არ უნდა უშვებდნენ. ზოგიერთმა ცხინვალელმა კომენტატორმა ამ ფაქტს „ერის კასტრაცია“ უწოდა.

რუსეთ-უკრაინის ომში, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის კიდევ ერთი ჯარისკაცი დაიღუპა. ტელეგრამის არხის ცხინვალელმა მომხმარებლებმა 36 წლის ალიმ ლოხოვის გარდაცვალების შესახებ ცნობა 4 მაისს გაავრცელეს. მანამდე, ცხინვალიდან უკრაინის ომში წასული ინალ კორტიევი, მე-4 საოკუპაციო-სამხედრო ბაზის ოცმეთაური დაიღუპა. უფრო ადრე კი — სერჟანტი ანდრეი ბაკაევი, მოხალისეები რუსლან ბესაევი, რუსლან კაზიევი და დე ფაქტო რესპუბლიკის სახალხო არტისტი რობერტ ყულუმბეგოვი. რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლები, რომლებიც მე-4 რუსულ სამხედრო ბაზაზე კონტრაქტით მსახურობენ, უკრაინაში ორ ეტაპად გაამგზავრეს. 16 მარტს სოციალური ქსელებით სამხედრო ტექნიკის გადაადგილების კადრებიც გავრცელდა. მოგვიანებით 300 ცხინვალელი ჯარისკაცი უკრაინიდან დაბრუნდა და იქ არსებულ საშინელ პირობებზე ალაპარაკდა. ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებული პირი, ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხების მკვლევარი რობერტ მამისაშვილი, „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ უკრაინის ომში ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი ხდება, მათ შორისაა ცხინვალელების გამოფხიზლების საკითხიც. მისი აზრით, ოსური საზოგადოება რეალურად ახლა ხვდება კრემლის ჩანაფიქრს, რომ მათ ადგილობრივი მოქალაქეების ნაცვლად, ტერიტორია, სამხედრო ბაზები და ინფრასტრუქტურა უფრო აინტერესებთ.

**რუსეთის ფედერაციას ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში განთავსებული აქვს მე-4 სამხედრო ბაზა, სადაც ადგილობრივები კონტრაქტით მსახურობენ. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ამ ბაზიდან ორ ნაკადად გაგზავნეს ჯარისკაცები. ამასთან, 24 თებერვლის შემდეგ ომში ჩასართავად რუსეთმა გაიყვანა სამხედრო ტექნიკის ნაწილი როგორც აფხაზეთის ტერიტორიიდან, ასევე ცხინვალიდან. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო-სამხედრო ბაზებზე ჯამში 10 ათასამდე პირი მსახურობს, ამას ემატება „ეფესბეს“ სასაზღვრო სამსახურის 1200-კაციანი კონტინგენტიც.**

**გოგა აფციაური,**
**„რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტი შიდა ქართლში.**



## სპეციალური ტრიბუნალი რუსი სამხედრო დამნაშავეებისთვის

**დმიტრო კულებამ მსოფლიოს რუსი სამხედრო დამნაშავეებისთვის სპეციალური ტრიბუნალის შექმნისკენ მოუწოდა.** აღნიშნულის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ტვიტერში“ დაწერა.

**„ჩვენ გვჭირდება სპეციალური ტრიბუნალი უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიული დანაშაულებისთვის, რათა რუსეთის ხელმძღვანელობა პასუხისგებაში მიეცეს. ამ საკითხზე ვილნიუსში პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ვისაუბრე. მადლობელი ვარ ორგანიზატორების და ვიმეორებ ჩემს მოწოდებას მხარი დავუჭიროთ ტრიბუნალის შექმნას“,** — წერს დმიტრო კულება.

## დამატებითი სანქციები რუსეთს...

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ და დიდმა ბრიტანეთმა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესების საკითხები შეათანხმეს.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვენდი შერმანმა, თავის კოლეგებთან ერთად საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და ბრიტანეთიდან, პარიზში განიხილეს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესების და უკრაინის მხარდაჭერის გაგრძელების შემდგომი ნაბიჯები.

**„შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ დამატებითი სანქციების დაწესების გეგმებზე, ისევე როგორც სხვა ღონისძიებებზე, რათა რუსეთის ფედერაციას პასუხისმგებლობა დაეკისროს“,** — ნათქვამია განცხადებაში. მხარეებმა ასევე განიხილეს რუსეთის შემოჭრით გამოწვეულ გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები.




## ვლადიმერ პუტინი: ომის გაჩაღების გარდა დასავლეთმა სხვა არჩევანი არ დამიტოვა!

(მეხუთე გვერდიდან) **პუტინი ძველებურად დარწმუნებულია, რომ საზოგადოება მას მხარს უჭერს და რუსები მზად არიან, მათი პრეზიდენტის ნაციონალური სიდიადის ხედვას საკუთარი კეთილდღეობა ანაცვალონ,** — წერს BLOOBBERG-ი საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით. სააგენტო შეგვახსენებს, რომ ცენტრალური ბანკის მკაცრი კონტროლის ზომების მეშვეობით, რუბლმა თავდაპირველი დანაკარგის უმეტესი ნაწილი აღიდგინა და მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა, ეკონომიკური ზარალი ჯერჯერობით შეზღუდულია. პუტინს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ომის გაგრძელება, მიუხედავად იმისა, რომ კრემლს თავისი ამბიციების შემცირება მოუწია, რაც უკრაინის ტერიტორიების უმეტესი ნაწილის ხელში ჩაგდებას გულისხმობდა და ახლა დონბასისთვის დამღლელ ბრძოლაზე ფოკუსირდა. ისინი, ვინც პუტინის ხაზს არ ეთანხმებიან, ვერ ხედავენ იმის ნიშანსაც კი, რომ ის მზადაა, ომის დასრულება განიხილოს (დანაკარგების გათვალისწინებით) ან წავიდეს სერიოზულ დათმობებზე, რაც ცეცხლის შეწყვეტის მისაღწევად არის საჭირო. **„პოლიტიკურ სისტემაში მისი ტოტალური დომინირების გათვალისწინებით, ალტერნატიული შეხედულებები მხოლოდ პირად სივრცეებში ჟღერს“,** — წერს სააგენტო.

BLOOBBERG-ის წყაროების ცნობით, მილიარდერ რომან აბრამოვიჩს, რომელიც რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებების ორგანიზებაში იყო ჩართული, უნდა გაექარწყლებინა პუტინის მოსაზრება, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ქვეყანას რუსეთის შეჭრისთანავე დატოვებდა. სანქცირებულმა მილიარდერმა მიხაილ ფრიდმანმა ჯერ კიდევ მარტის შუა რიცხვებში BLOOBBERG-თან ინტერვიუში განმარტა, თუ რატომ ვერავინ ბედავს რუსეთში ომის საჯაროდ დაგმობას. **„ბატონ პუტინსა და ნებისმიერ სხვა ადამიანს შორის დისტანცია ჰგავს მანძილს დედამიწასა და კოსმოსს შორის. პუტინისთვის ომის წინააღმდეგ რაიმეს თქმა ნებისმიერისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა“,** — განაცხადა მან.

მილიარდერმა ოლეგ დერიპასკამ ჯერ კიდევ მარტის ბოლოს **ომს „სიგიჟე“ უწოდა და თქვა, რომ „სამწუხაროდ, მშვიდობა უახლოეს თვეებში არ იქნება“,** — იხსენებს BLOOBBERG-ი. კიდევ უფრო მკვეთრი პოზიცია გამოხატა Tinkoff Bank-ის დამფუძნებელმა ოლეგ ტინკოვმა, რომელმაც ომის მხარდამჭერები და რუსული არმია გააკრიტიკა. სააგენტო იხსენებს, რომ ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელმაც **„უკრაინაში შეჭრის გამო კრემლთან კავშირი საჯაროდ გაწყვიტა“,** ანატოლი ჩუბაისია. ის მდგრადი განვითარების საკითხებში პუტინის სპეციალური წარმომადგენელი იყო. ჩუბაისი სტამბოლში გაფრინდა, თუმცა თავისი გადაწყვეტილების შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებაზე უარი თქვა. **დანარჩენებს, რომელთაც წასვლა სურდათ, მათ შორის ცენტრალური ბანკის დირექტორს ელვირა ნაბიულინას უთხრეს, რომ უნდა დარჩენილიყვნენ, რათა ეკონომიკურ შედეგებთან გამკლავებაში მთავრობას დახმარებოდნენ,** — წერს BLOOBBERG-ი. სააგენტო უფრო ადრეც იტყობინებოდა, რომ ნაბიულინამ გადადგომა ომის დაწყებისთანავე სცადა, მაგრამ პუტინმა უარი უთხრა. ამის გამოქვეყნების შემდეგ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ ინფორმაცია ნაბიულინას თანამდებობის დატოვების სურვილის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. BLOOBBERG-ის ცნობით, რუსმა მაღალჩინოსნებმა „მოღალატეები“ უწოდეს იმ ადამიანებს, რომელთაც ქვეყანა დატოვეს.

მათივე ინფორმაციით, ელიტის ზოგიერთი წევრი კიდევ უფრო მკაცრ მიდგომას ემხრობა. გამოცემა იხსენებს, რომ როდესაც კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა მხარი დაუჭირა ტელეწამყვან ივან ურგანტს, რომელმაც რუსეთი დატოვა, ჩეჩნეთის მეთაურმა რამზან კადიროვმა ის პატრიოტიზმის ნაკლებობის გამო გააკრიტიკა. **„ახლა უთანხმოებისა და დისკუსიის დრო არ არის, ყველამ უბრალოდ უნდა შეასრულოს პრეზიდენტის ბრძანებები და სანამ პუტინი ვითარებას აკონტროლებს, ხალხი მას მიჰყვება“,** — ამბობს პროექტ BLOOBBERG-ის ხელმძღვანელი ტატიანა სტანოვაია.

# მეცნიერებმა გადაიღეს, თუ როგორ უჭირავთ დელფინებს პირით ანაკონდა!

**ჩვენ გარემომო ბუნება უსასრულოდ შთამაგონებელი და მომაჯადოებელია, ხშირად კი ძლიერ უცნაურიც. ამის მაგალითია მკვლევართა მიერ გადაღებული ფოტო ბოლივიაში, რომელშიც ჩანს, როგორ უჭირავთ მდინარის დელფინებს პირში ანაკონდა ბენი.**

მდინარის დელფინები იშვიათი სანახავი არსებებია და მათთვის საკმაოდ უჩვეულოა, რომ წყლიდან თავი ძალიან მაღლა ჰქონდეთ ამოყოფილი, რომ აღარაფერი ვთქვათ მტაცებელ გველზე, რომელიც ყბებში აქვთ მოქცეული. უცნობია, ზუსტად რა ხდება ამ სცენაში, მაგრამ დელფინები და ვეშაპისნაირები ზოგადად ცნობილი არიან მხიარული აქტივობებით, რომლებშიც სხვა ცხოველებიც შეიძლება მონაწილეობდნენ, საკუთარი ნებით ან სხვაგვარად. ფოტო 2021 წლის აგვისტოშია გადაღებული ბოლივიაში, მდინარე ტიხამუჩის



სიახლოვეს. მკვლევრებმა შენიშნეს, რომ დელფინების ჯგუფი წყალს ზემოთ ამოწეული ჩვეულებრივზე დიდხანს ჩერდებოდა, მაგრამ მხოლოდ სურათების დათვალიერების შემდეგ მიხვდნენ, რა ხდებოდა იქ სინამდვილეში.

**„პირველივე ფოტოების შემოწმებისას მივხვდით, რომ დელფინებს გველი ეჭირათ. ძნელია იმის თქმა, რამდენი დელფინი შედიოდა ჯგუფში, მაგრამ იქ სულ მცირე ექვსი იყო. აშკარა გახდა, რომ ისინი გველთან უფრო თამაშობდნენ, ვიდრე შეჭმას ცდილობდნენ“,** — წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში, რომელშიც საკუთარ დაკვირვებას აღწერენ. დელფინები გველთან ცოტა უჩვეულოდ ურთიერთობენ, ხანდახან ერთად, სინქრონულად ცურავდნენ, მაგრამ უმეტესად ერთ ზონაში იყვნენ გაჩერებული. მკვლევრები სცენას შვიდი წუთის განმავლობაში აკვირდებოდნენ.

დელფინებს შორის ასეთი ურთიერთქმედება იშვიათია და როგორც მკვლევრები ამბობენ, არ არის გამორიცხული, ისინი ერთმანეთს გველის შესახებ ასწავლიდნენ ან სულაც მასთან კი არ თამაშობდნენ, არამედ ჭამდნენ. კიდევ ერთი შესაძლებლობა ის არის, რომ თამაშის ეს აქტივობა რეალურად სექსუალური ხასიათისაა.

**„ამის შემდეგ, ფოტოებზე შევძელით იმის დაკვირვებაც, რომ ზრდასრული მამრი დელფინები ანაკონდასთან თამაშის დროს სექსუალურად აღგზნებული იყვნენ. სცენაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდებიც და ისე ჩანდა, რომ ზრდასრულები მათ გველს აჩვენებდნენ“,** — წერენ მკვლევრები.

ანაკონდა ბენი (Eunectes beniensis) სიგრძეში 2 მეტრამდე იზრდება და იმავე რეგიონში ბინადრობს, სადაც ბოლივიური მდინარის დელფინები (Inia geoffransis boloviensis): კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლივიაში, ამაზონის ტროპიკული ტყის მონაკვეთში.

მდინარის დელფინებზე დაკვირვება რთულია, რადგან მდინარეები იქ ამღვრეულია და ძნელად სანავიგაციოა, ვიდრე ოკეანე. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უცნობია დეტალები, რა შეიძლება ხდებოდეს ამ კონკრეტულ სცენაზე, ინფორმაცია მაინც მნიშვნელოვანია იმაზე წარმოდგენის შესაქმნელად, რაში ხარჯავენ ეს არსებები დროის გარკვეულ ნაწილს. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ეს დელფინები გადაშენების პირას არიან.

სამწუხაროდ, დიდია იმის ალბათობა, რომ ეს სცენა გველისთვის კარგად არ დასრულებულიყო. ურთიერთქმედების დროს ის უძრავადაა და წყალქვეშ დიდხანს უწევს გაჩერება, რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ გველი მოკვდებოდა.

**„ვფიქრობ, ამ გველს კარგი დღე არ ადგა“,** — ამბობს მკვლევართა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ბოლივიის ბუნების ისტორიის მუზეუმის ბიოლოგი შტეფენ რაიხლი.

**მომზადებულია NEW YORK TIMES-ისა და SCIENCEALERT-ის მიხედვით.**

ავტორი
**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

# ჰეპატიტის ახალი დაავადება ევროპაში

**ევროკავშირის 15 ქვეყანაში უცნობი წარმოშობის ჰეპატიტის 95 შემთხვევა გამოვლინდა.**

დაავადება 16 წლამდე ბავშვებშია დაფიქსირებული. ყველაზე მეტი შემთხვევა იტალიასა (35) და ესპანეთში (22) დადასტურდა. ნიდერლანდებსა და დანიაში 6-6 შემთხვევა გამოვლინდა. დაავადება ასევე გავრცელდა ირლანდიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, კვიპროსზე, საფრანგეთსა და ნორვეგიაში. თითო შემთხვევაა დაფიქსირებული გერმანიაში, პოლონეთსა და სლოვენიაში. 23 აპრილს ჯანმოში განაცახდეს, რომ უცნობი წარმოშობის მწვავე ჰეპატიტს ბავშვი ემსხვერპლა, თუმცა ქვეყანა, სადაც ლეტალური შემთხვევა მოხდა, არ დასახელებულა.

# ძლიერი ხანძარი ციმბირში

**ცეცხლმა კრასნოიარსკის, კემეროვოსა და ხაკასიის დასახლებულ რაიონებში შეაღწია. ცეცხლის გავრცელებას ხელს ძლიერი ქარი უწყობს.**

განადგურებულია ასობით საცხოვრებელი სახლი. ვრცელდება ინფორმაცია 8 გარდაცვლილის შესახებ. არიან დაშავებულებიც. საგამოძიებო კომიტეტი ხანძრის მიზეზის დადგენას ცდილობს.





# ფრედერიკ ბეგბედერი: რაც უფრო ქკუიდან იშლება მსოფლიო, მით მეტი სამუშაო მაქვს, მინდა, ცოტათი შევანჯღრიო მკითხველი...

**ლიტერატურამ მკითხველის თავისებური პროვოცირება უნდა მოახდინოს, სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა შევწუხდეთ და დავწეროთ რამე,** — ამის შესახებ ფრანგმა მწერალმა ფრედერიკ ბეგბედერმა საქართველოს პირველი არხის გადაცემა „ახალ დღეში“ განაცხადა.

**„ძალიან მოხარული ვარ, რომ დავბრუნდი თქვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით აპოკალიფსის დღეებში. ჩვენ არ ვიცით, ათი წუთის შემდეგ ცოცხლები ვიქნებით თუ არა, უნდა ვისიამოვნოთ ყოველი წამით. წინააღმდეგობის საუკეთესო გზა გახლავთ სიცოცხლის გაგრძელება, თავისუფალი სიცოცხლის. ეს ერთადერთი გზაა, უარი ვუთხრათ სამყაროს დასასრულს, ისე გავაგრძელოთ ცხოვრება, თითქოს ყველაფერი ნორმალურია, დემოკრატია, თავისუფლება, ეს არის სიცოცხლის გზა. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სიცოცხლე, ვილაპარაკოთ ლიტერატურაზე. ჩემი სამუშაო გახლავთ, აღვწერო მსოფლიო და მსოფლიო რაც უფრო ქკუიდან იშლება, მით უფრო მეტი სამუშაო მაქვს“...**

ბეგბედერის განცხადებით, მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანაა, სადაც მწერლები თავისუფლები არიან, დედამიწის უმეტეს ადგილებში კი მწერლებს წერის უფლება არ აქვთ. მისივე თქმით, გაუმართლა, რომ აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად წეროს და რომანები გამოაქვეყნოს.

**„წიგნი ცვლის სამყაროს? არ ვიცი. ზოგჯერ შეიძლება, მკითხველს თვალები აუხილო. ისინი კითხულობენ ამბავს და შეიძლება, გამოფხიზლდნენ, გამოიღვიძონ. მე მინდა, ასე ვთქვათ, ცოტათი შევანჯღრიო მკითხველი. კაფკამ თქვა: „წიგნი არ უნდა დაწერო, თუ ვიღაცას თავისებურად ტკივილს არ მიაყენებსძ. მან რეაქცია უნდა შექმნას. ლიტერატურამ მკითხველის თავისებური პროვოცირება უნდა მოახდინოს. სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა შევწუხდეთ და დავწეროთ რამე“,** — აღნიშნა ბეგბედერმა.

**„აქ ყველგან ვხედავ უკრაინულ დროშას, რაც პასუხისგებით მავსებს, როგორც თავისუფალ მწერალს, რომელიც ჩამოვიდა თქვენს ქვეყანაში, რათა მხარი დაეჭირა დემოკრატიისთვის. ევროპის ამ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია, ილაპარაკო თავისუფლად. მე ვარ ტელევიზიაში, პირდაპირ ეთერში და შემიძლია, ვთქვა, რაც მსურს. ეს არის წარმატება, ჩვენ გაგვიმართლა, რომ თავისუფლად ვისაუბროთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე არ მეშინია არცერთი კითხვის, რადგან თავისუფალი პიროვნება ვარ. კითხვები გახლავთ ჩემი სამუშაო, ჩემი წიგნები სულ კითხვებს სვამს“,** — განაცხადა მწერალმა. ბეგბედერის თქმით, მისი მეუღლე თბილისში ფოტოფესტივალზე მოიწვიეს და თავადაც გამოჰყვა, რადგან მოსწონს თბილისი.

**„ის მოწვეულია თბილისში, ფოტოგრაფიის ცნობილ ფესტივალ „ქოლგაზე“. იგი პირველი დაპატიჟეს და გამოვყევი მას. ის გამოფენს თავის ნამუშევრებს „სტამბას“ სასტუმროში კვირას... გახსნა იქნება ძალიან ამაღელვებელი. მე ვუთხარი: შეიძლება, თბილისში წამოგყვე? რადგან მომწონს თბილისი. საბოლოოდ, ერთად ჩამოვედით და ეს ბრწყინვალეა“,** — განაცხადა ბეგბედერმა. მისივე თქმით, ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავს და კონტაქტი აქვს ქართველებთან.

**„მე კონტაქტი მაქვს ხოლმე ქართველებთან, როდესაც საფრანგეთში ჩამოდიან. მე თქვენს პრეზიდენტსაც კი შევხვდი, რომელიც ფრანგულად ლაპარაკობს. რამდენიმე ქართველი მეგობარი მყავს, რომლებიც ჩამოდიან. სამწუხაროდ, მე ამ დრომდე არ ვიცი ქართული, ხაჭაპურის გარდა. ხაჭაპური ჩემთვის გახლავთ პასუხი ყველა პრობლემაზე. როდესაც აპოკალიფსი, ომი მიმდინარეობს, ხაჭაპური გახლავთ ჩემი სიმბოლო, წინააღმდეგობის მექანიზმი“,** — აღნიშნა ბეგბედერმა. ბეგბედერმა ასევე ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე ომზე.

მისი თქმით, ვლადიმერ პუტინს ეშინია ხალხის, რომლებიც საკუთარ აზრს გამოხატავენ.

**„ჩვენ ვსაუბრობდით დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე — ეს გახლავთ პუტინის მტერი. მას ეშინია ხალხის, ვისაც სურს გამოხატოს საკუთარი აზრები. მე არ ვიცი, რატომ ეშინია ამის. მე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს რუსეთში, მიყვარს რუსული ლიტერატურა, მუსიკა, ფილმები. არ ვიცი, რა ხდება. შეიძლება, მწერლის სამუშაოა, როდესაც მათ არ ესმით, თქვას, რომ ზოგჯერ აუხსნელია სამყარო, მსოფლიო. არ ვიცი, რატომ არის ასეთი აგრესიული, რატომ კლავს ათასობით ადამიანს, ქალებს, ბავშვებს. რატომ? აზრი არ აქვს ამ მკვლელობებს. ჩვენ ვართ 21-ე საუკუნეში და უცებ დავბრუნდით მე-20 საუკუნეში. თითქოს, დროში ვიმოგზაურეთ. როდესაც ვხედავ სურათებს, ეს მოხდა მანამდე საქართველოში, ახლა ხდება უკრაინაში. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, გავაკეთოთ, როგორც ხელოვნების წარმომადგენლებმა, აღვწეროთ, რასაც ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ, რომ რაღაც ხდება ძალიან საშინელი და ძალადობრივი. აზრი არ აქვს ქალაქების განადგურებას, რათა მოხვდე ქალაქში. მხოლოდ ნანგრევებს ტოვებ, მკვდარ ადამიანებს ტოვებ, შედიხარ ქალაქში და აცხადებ — ჩემი ქალაქია. ამას აზრი არ აქვს, აბსურდია. მსოფლიო აბსურდულია და როგორც რომანისტმა, მე უნდა აღვწერო მსოფლიო“,** — აღნიშნა ბეგბედერმა.

რაც შეეხება პანდემიის გავლენას ყოფით ცხოვრებასა და ლიტურატურაზე, ბეგბედერმა განაცხადა, რომ პანდემია შემაშფოთებელი იყო მომავლისათვის.

**„ფაქტობრივად, მივიღეთ ვითარება, როდესაც მომავლის გვეშინია და არ ვიცით, მომავალი გვექნება თუ არა. როდესაც ვიღაც გემუქრება, რომ ბირთვულ ბომბს ჩამოაგდებს, ეს ასევე არის ვითარება, როდესაც არ გაქვს მომავალი“,** — აღნიშნა ბეგბედერმა. ბეგბედერის თქმით, მისი წიგნი მოიცავს ნოსტალგიურ აზრებს, მასში ის დროა აღწერილი, „როდესაც მომავალი გვქონდა“.

**„ჩემი ახალი რომანი არის დაბრუნება სამყაროში, მსოფლიოში, რომელიც იყო წარსულში. თითქოს წარსული იყო უტოპია. ჩვენ არ გვაქვს იმედი, გარდა იმისა, რომ წარსულს დავუბრუნდეთ, იმ ბედნიერების პერიოდს, როდესაც პატარა ვიყავი, მაშინ მომავალი მქონდა“,** — დასძინა ბეგბედერმა.

◉ ოვალური ბურთი

# პირველი „მეფური“



**„ბორჯღალოსნებს“ განებივრებულნი ვყავართ კონტინენტური მნიშვნელობის წარმატებებით, მაგრამ პირველმა ქართულმა ფრანჩაიზმა „შავმა ლომმა“ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის თავკაცობით უკვე პირველ ევროპულ სუპერთასზე მოხვეჭილი ტიტულითაც გაგვახარა.**

გემახსოვრებათ, როგორი კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს ამ გუნდს ჯგუფურ რაუნდში რუსულ „ლოკომოტივ პენზასთან“ საშინაო მარცხისთვის, მაგრამ აღნიშნულმა მწარე გაკვეთილმა, თანაც სეზონის სტარტზე, შეუთამაშებლობის პერიოდში ნაწვნევმა გაწბილებამ, ბიჭები კიდევ უფრო შეადუღაბა და ერთ მუშტად შეკრა – მოგეხსენებათ, დაჭრილი ლომი გაცილებით მრისხანე ხდება, განურჩევლად ფერისა.

გასათვალისწინებელი იყო ფინალური შეხვედრის მასპინძლის ფაქტორიც, რადგან ჩვენი მეტოქე – „ლუზიტანუში“, რომელმაც უდანაკარგოდ, ქულათა მაქსიმუმით დაასრულა საწყისი ეტაპი, სწორედ იმ პორტუგალიის ნაკრების საბაზო კლუბს წარმოადგენს, ვისთანაც რაგბი ევროპის წლევანდელ ციკლში თბილისში გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ – 25:25. გადამწყვეტმა მატჩმა დაადასტურა, რომ წოდებისთვის ღირსეული ოპონენტები იბრძოდნენ. მით უფრო დასაფასებე;ლია სტუმართა მიღწევა, რომლებმაც მიზანს შესვენების შემდეგ მიაღწიეს – 17:14 (7:8).

დავძენთ, რომ ლელოები **ლუკა ივანიშვილისა** და **თენგიზ პერანიძის** ანგარიშზეა, ხოლო დანარჩენი ქულები **გიორგი ბაბუნაშვილმა** მოაგროვა.

◉ ძალოსნობა

# კვიცი გვარზე...



**ხუთი ქართველი ათლეტი მონაწილეობს ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც ბერძნული ჰერაკლიონი მასპინძლობს. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრებიდან (მთავარი მწვრთნელი მალხაზ ლომთაძე, მწვრთნელი ილია თვალოძე) საბა ასანიძემ იასპარეზა, ოლიმპიური ჩემპიონ გიორგი ასანიძის ვაჟმა. აკვრაში მეორე ცდაზე მან 183-კილოგრამიანი შტანგა დაძლია, რამაც ოქროს მედალი მოუტანა. 182 კილოგრამით ვერცხლის ჯილდო ეგვიპტელმა მაჰმუდ ჰოსნი ელსაიედმა მოიპოვა, ხოლო 181 კილოგრამით მესამე ადგილზე დენის პოლუბოიარინოვი (ყაზახეთი) გავიდა.**

საბა ასანიძე ატაცში 141 კილოგრამით მე-6 იყო. პირველ-მესამე ადგილებზე ჰაკან კურნაზი (თურქეთი, 150 კგ), ეგორ შერერი (ყაზახეთი, 149 კგ) და ერჯან კოფშა (ალბანეთი, 146 კგ) გავიდნენ. საგულისხმოა, რომ ორჭიდში სამმა ძალოსანმა 324-324 კილოგრამს მოუყარა თავი. პირველი-მესამე ადგილების ბედი ამ წონის მოგროვების თანმიმდევრობამ გადაწყვიტა. მედალოსნები სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახი კახიაშვილმა** დააჯილდოვა.

**81 კგ**

**1. ჰაკან კურნაზი (თურქეთი) – 324 (150+174),**

**2. მაჰმუდ ჰოსნი ელსაიედი (ეგვიპტე) – 324 (142+182),**

**3. საბა ასანიძე (საქართველო) – 324 (141+183).**

**ლაშა დიდია**

◉ გამოფენა

# ოსტატის მიერ წამებში შეჩერებული საუკუნე

**ცნობილი ჟურნალისტისა და ფოტოხელოვან ალექსანდრე კოტორაშვილის შემოქმედებას კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რვა ათეულ წელიწადს მიტანებული პროფესიონალის უნიკალურ ფოტოებს არაერთხელ მოუხიბლავს ქართველი, გერმანელი, პოლონელი თუ ბალტიისპირელი დამთვალიერებელი. სანდროს „საფეხბურთო ბალეტი“, „90-ე სვლა“ (დედის პორტრეტი), „ცხენოსანი“, ანდრია ბალანჩივაძის პორტრეტი თუ სხვა შედევრები აღნიშნულია იაპონიის, გერმანიის, საკავშირო თუ რესპუბლიკური პრემიებით.**



უბერებელმა „კოტორამ“, რომელსაც სიყვარულით ასე მიმართავენ კოლეგები და მეგობრები, 7 მაისს კიდევ ერთხელ გააოცა და აღაფრთოვანა მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები: ვახტანგ კახიძის ინიციატივითა და ჯუმბერ ბერაძის თანადგომით ჯანსულ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ალექსანდრე კოტორაშვილის პერსონალური ფოტოგამოფენა მოეწყო – ავტორმა 70 ნამუშევარი გამოიტანა სამსჯავროზე, უმთავრესად, პორტრეტული ჟანრისა. საოცარ სამყაროს ქმნიდა შეჩერებული წამი საუკუნის ადამიანებისა. დამთვალიერებლებს კედლებიდან ულიმოდნენ ფოტოხელოვანის თვალით დანახული ღირსეული მამულიშვილები – გიორგი ცაბაძე და ჯანსუღ კახიძე, ჯემალ ჭკუასელი და გოგი დოლიძე, ანა კალანდაძე და გურამ დოჩანაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, ბორის პაიჭაძე და ეროსი მანჯგალაძე, გოგი გეგეჭკორი და კახი კავსაძე, ნინო სალუქვაძე და ლაშა ტალახაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნინო რამიშვილი, სხვები და სხვები.

სპორტის ცნობილმა ჟურნალისტმა **დავით ქლიბაძემ** მართებულად შენიშნა, რომ ყველას გვეგონა, დარბაზში მხოლოდ სპორტის ამსახველი ფოტოები იქნებოდა გამოფენილი, აქ კი ჩვენმა სანდრომ სრულიად განსხვავებული სამყარო დაგვახვედრაო. დამთვალიერებლებს, ასევე, სიტყვებით მიმართეს **ვახტანგ კახიძემ, გრიგოლ ჩიგოგიძემ** (მან სანდრო კოტორაშვილი „პიონერფილმის“ სამახსოვრო მედალიონით დააჯილდოვა), **მიხეილ აბაიშვილმა, ნუგზარ რუხაძემ, ლუკა კურტანიძემ, გუბაზ მეგრელიძემ, გია პლატონიშვილმა** და სხვებმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გაისად ღირსეულად აღინიშნოს სანდრო კოტორაშვილის 80 წლის იუბილე, დაიბეჭდოს მისი ნამუშევრების სრულყოფილი ფოტოალბომი და ფოტოლაბორატორიის აღსადგენად სიმბოლური ფართი გადაეცეს.

**ლექსო ცინცაძე**

◉ კაპიტანი

# უბრალოდ, „ნემსა“...

**ერთმანეთი თბილისის აეროპორტში გავიცანით, როცა „დინამოს“ მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თასის გათამაშებაზე მივყვებოდი.**




რომ გაიგო, პაპუნა ნემსაძე ბიძაჩემი იყო, თვალები გაუბრწყინდა, ინსტინქტურად გადამეხვია და ალალად მითხრა – აწი ჩვენ ერთნი უნდა ვიყოთო. ასეც არის – დაახლოებით 30 წელიწადია, რაც ჭირსა თუ ლხინში გვერდიგვერდ ვდგავართ და ვცდილობთ, მაშინდელი „კონტრაქტის პირობები“ პირნათლად შევასრულოთ.

სხვათა შორის, იმ დროს ეს სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი უკვე ორი ვაჟის – ვაჟიკოსა და თორნიკეს მამა გახლდათ, ხოლო ნაბოლარა ქალიშვილი სოფო მასსა და რუსუდან ჩირგაძეს მოგვიანებით შეეძინათ, მალევე მას შემდეგ, რაც გიორგი ნემსაძე ჩემი მეჯვარე გახდა.

დედაქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ ნემსაძის შვილიშვილსა და ვეტერანი ფეხბურთელის – ვაჟა ნემსაძის შვილს წარმატებები სიჭაბუკიდანვე დაებედა, როცა სანუკვარ თბილისის „დინამოში“ სადებიუტო სეზონი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრინციპულ შეხვედრაში ერევნის „არარატთან“ დაუვიწყარი გოლით აღნიშნა. იმავე 1989 წელს უკავშირდება უდიდესი პირადი ტრაგედიაც – 9 აპრილს ალესილი ნიჩბებით შეიარაღებულმა გავეშებულმა რუსმა სალდაფონებმა უმოწყალოდ აჩეხეს „ნემსას“ მამიდაშვილი ეკა ბეჟანიშვილი...

და ასე, ერთგვარი ზიგზაგებით გრძელდებოდა საქართველოს ნაკრების მომავალი კაპიტნის ხანგრძლივი შთამბეჭდავი კარიერა, რომელიც დამოუკიდებლობააღდგენილ სამშობლოში გამართულ პირველ ეროვნულ ჩემპიონატს ლანჩხუთის „გურიის“ მაისურით შეხვდა, ხოლო შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში იცავდა უცხოური კლუბების სპორტულ ღირსებას, სადაც ყველასგან ჯიგრიანი თამაშით გამოარჩევდა.

სიმბოლურია, რომ ფეხბურთის სიყმაწვილის კლუბში გამოეთხოვა, თანაც როგორ – კრაკოვის „ვისლასთან“ გატანილი მისი გადამწყვეტი პენალტით დინამოელები XXI საუკუნეში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად პრესტიჟული ევროტურნირის – იმ შემთხვევაში უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ რაუნდში გავიდნენ – გუნდს **გია გეგუჩაძე** თავკაცობდა, მთლიანად მიღწევა კი „თეთრ-ლურჯთა“ პრეზიდენტის, სულმნათი **ბადრი პატარკაციშვილის** დამსახურება გახლდათ.

მოგეხსენებათ, ფეხბურთელთა უმეტესობისთვის აქილევსის ქუსლს კარიერისშემდგომ პერიოდში დასაქმება წარმოადგენს, მაგრამ გიორგისთვის მოვლენები ბუნებრივად ვითარდებოდა მანამდე, ვიდრე სააკაშვილის ხროვამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოგებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე წაგება არ გააფორმებინა...

და მაინც, ამ სულით ძლიერ პიროვნებას ეყო ფსიქოლოგიური სიმტკიცე, გულის ტკივილი ვაჟკაცურად გადაეტანა, ფეხბურთში დარჩენილიყო და სამწვრთნელო ასპარეზზე ეცადა ბედი, დღეს კი, შთამომავლობით დახუნძლული, ლეჩხუმურ ფესვებს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე მოღვაწეობით ერთგულობს.

**ნახევარსაუკუნოვან იუბილეს გილოცავთ, კაპიტანო!**

**გია პლატონიშვილი**

◉ ფარიკაობა

# ესპანური „ბრინჯაო“

**მსოფლიოს 39 ქვეყნის 233 წარმომადგენელი ჩაება ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მოხმალავე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში. მოასპარეზეთა შორის შვიდი მოფარიკავე საქართველოდან იყო. მათგან განსაკუთრებით გამოირჩა მსოფლიოს კლასიფიკაციით მეოთხე ადგილზე მყოფი სანდრო ბაზაძე.**




პლეი-ოფში მან ზედიზედ სძლია კოლინ ჰიჩკოკს (გერმანია, 15:14), ვილიამ დეარს (დიდი ბრიტანეთი, 15:6), ფარეს ფერჯანის (ტუნისი, 15:11), ელი დერშვიცს (აშშ, 15:10) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ტოკიოს თამაშების ფინალისტთან, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორ იტალიელ ლუკა კურატოლისთან დამარცხდა – 14:15 და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მეორე „ბრინჯაო“ კორეელ იუნგ ჰვან კიმს ერგო. ოქროს და ვერცხლის ჯილდოები, შესაბამისად, კორეელმა სან-უკ ოჰმა და ლუკა კურატოლიმ გაინაწილეს.

**გივი გაგუა**

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST
(CONSULTING SERVICES – FIRMS SELECTION)

GEORGIA
Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP)
Loan No.: 9361-GE

Assignment Title: Supervision of Construction Works for Sagarejo – Badiauri Section of Tbilisi – Bakurtsikhe – Lagodekhi International Road
**Reference No**. (as per Procurement Plan): KCIP/CS/QCBS-01

The Government of Georgia has received the Loan from the World Bank toward the cost of the Kakheti Connectivity Improvement Project (KCIP) and intends to apply part of the proceeds for consulting services.

The consulting services ("the Services") include the Supervision of Construction Works for Sagarejo – Badiauri section of Tbilisi – Bakurtsikhe – Lagodekhi International Road.

Sagarejo-Badiauri road section is located in the Kakheti region, one of the main historical, economic and cultural regions of Georgia. This section, among others of the Tbilisi-Bakurtsike-Lagodekhi (Border of Azerbaijan) international road, connects Tbilisi to Kakheti region and is part of the main transit corridor to the north-west region of Azerbaijan. The road section runs through the densely populated areas and serves the settlements of Tokhliauri, Manavi, Chailuri, Kakabeti, Badiauri, Iormughanlo. Design of the road implies construction of 2 lanes per direction. The road has 4 x 3.75m width. The road configuration is constructed with the asphalt pavement. The design speed is 120km/hr. The design includes two overpass bridges of 180m total length, and eight underpass box structures. Two motorway bridges are envisaged in the design, for the Crossing of Chailuri River and the Badiauri interchange with total length of 125m. In addition, the design envisages the construction of 86 drainage structures – culverts, including the complete restoration of the local Irrigation network

The primary objectives of the consulting services ("the Services") are as follows: (i) to review the detailed designs (ii) to function as the Engineer in administering the civil works contracts and execution of all rights and responsibilities of the Engineer in accordance with the Conditions of the Contract (FIDIC Red Book Second edition 2017), (iii) comprehensive supervision of project implementation activities carried out by the contractors to ensure the compliance with the drawings, technical specifications and various stipulations contained in the contract documents, with high standards of quality assurance in supervision and in the execution of works; (iv) advice the Employer on all matters concerning the contracts management and support the Employer to have the works completed within the stipulated time for completion and cost to the extent possible

The consultant is estimated to provide 508 person-months of consulting services. The services will be provided over a period of 56 months (including 2 months for Design Review, 30 months of construction supervision and 24 months of DNP), commencing tentatively in Q3 2022.

The detailed Terms of Reference (TOR) for the assignment can be found at the following link:
https://www.dropbox.com/sh/cc0g6um1f1cvjjc/AAAx6ecUi_7b9EBaSa3sO1uka?dl=0

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting firms ("Consultants") to indicate their interest in providing the Services. Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are

- General experience in road infrastructure projects;
- Similar experience in Design Review of Highway Construction Assignments within the last 5 years (i.e. since January 2017);
- Similar experience in Supervision of Highway Construction Assignments within the last 5 years (i.e. since January 2017)

Key Experts will not be evaluated at the shortlisting stage.

The attention of interested Consultants is drawn to Section III, paragraphs, 3.14, 3.16, and 3.17 of the World Bank's "Procurement Regulations for IPF Borrowers" July 2016, revised November 2020 ("Procurement Regulations"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any payment in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the Employer under the contract.

Consultants may associate with other firms to enhance their qualifications, but should indicate clearly whether the association is in the form of a joint venture and/ or a sub-consultancy. In the case of a joint venture, all the partners in the joint venture shall be jointly and severally liable for the entire contract, if selected.

A Consultant will be selected in accordance with the Quality and Cost-Based Selection method set out in the Procurement Regulations.

Further information can be obtained at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **May 24, 2022, 15:00 local time**. The electronic copy of Expressions of Interest shall be also attached to the hard copy (with USB/CD/DVD, etc).

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI)
Attn: Ms. Salome Tsurtsumia, Deputy Chairperson
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: (995 32) 2 37-05-08
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge


## სანთელი

**თენგიზ ქავთარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი პიროვნების**

# თამაზ ზაზას ძე ინწკირველის

**ტრაგიკულად გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ლელას და გიორგის.**

# წმიდათა მენელსაცხებლე დედათა კვირა კეთილმორწმუნე დიდი მეფე თამარი

**8 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ იდღესასწაულა მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღე. ეს დღესასწაული აღდგომიდან მესამე კვირიაკეს ტარდება. მოიხსენიებიან დედები: მარიამ მაგდალინელი, მარიამ კლეოპა, სალომე, იოანა, მარა და კეთილმორწმუნე ქართველთა მეფე, ბაგრატიონთა შორის გამორჩეული გვირგვინოსანი „მზეთა მზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდედთა უმეტესად აღმობრწყინებულად" წოდებული თამარი.**



ღვთივკურთხეული თამარ მეფის ცხოვრება მართლაც მენელსაცხებლე დედათა ღვაწლს ემსგავსებოდა...

**ნიშანდობლივია რომ „საქართველოს სახელმწიფოს მმართველი ქალი" — ხელმწიფე, სულიერად მუდამ ქრისტესთან იმყოფებოდა, დღისით სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, შემდგომ კი დაუსრულებელ ღამეებს უძილოდ ატარებდა ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილი, საქართველოსთვის ლოცვად დამდგარი".**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის მიერ შესრულებული თამარ მეფის ფრესკა ამშვენებს დიდუბის მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთ კედელს!

**გიული ლიპარტია**

# სოფელ სარკინეთში შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია" აკურთხეს

**დმანისის რაიონის სოფელ სარკინეთში შვეიცარიული აგრარული სკოლის „კავკასია" კურთხევა შედგა. შვეიცარიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი კოლეჯი სპეციალიზებულია მეცხოველეობასა და რძის გადამუშავებაზე. კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მეცხოველეობის ფერმა და შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ყველის ქარხანა.**

პროექტის მთავარი პარტნიორია შვეიცარიაში ყველაზე წარმატებული აგრარული სკოლა „პლანტა ჰოფი". პროექტი განხორციელდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით, საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, რომელმაც დღეს კოლეჯს 250 ათასი დოლარის დონაცია გადასცა.

# გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში უხვმა ნალექმა პრობლემები შექმნა

**გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში რამდენიმე დღეა, სტიქიას ებრძვიან. მდინარე მტკვრის ადიდების შედეგად, წყალი დასახლებულ ნაწილში შევიდა. დატბორილია 40-მდე საცხოვრებელი სახლის ეზოები და სარდაფები.**

აღნიშნული დასახლება მდინარე მტკვრის სიახლოვესაა და ეს პრობლემა მოსახლეობას წლებია, ყოველ გაზაფხულზე ექმნება. ადგილობრივები პრობლემის მოგვარებას ითხოვენ. მათი განცხადებით, რამდენიმე წლის წინ მერიამ 500-მეტრზე სანაპირო ზოლი გაამაგრა, თუმცა პრობლემა კვლავ დარჩა. მოსახლეობა სანიაღვრე არხების გაწმენდას და ახალი არხების გაკეთებას ითხოვს.

# გურჯაანში ადიდდა ხევები, დაიტბორა საცხოვრებელი სახლები...

**გურჯაანში გვიან ღამით მოსულმა სტიქიამ პრობლემები შექმნა მუნიციპალიტეტში,** — ამის შესახებ ინფორმაციას გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს. მათივე ცნობით, მოსული უხვი ნალექის შედეგად სოფლებში ადიდდა ხევები, დაიტბორა საცხოვრებელი სახლები და დაზიანდა საუბნო გზები. როგორც გურჯაანის მერიაში აცხადებენ, განმარტეს, გუშინ, გამთენიისას, ოპერატიულმა შტაბმა, რომელსაც გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ უტიაშვილი ხელმძღვანელობს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დაიწყო.

**„შტაბის მუშაობაში ჩართულები არიან მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ხვიჩა სიმონიშვილი და ა(ა)იპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისის" ხელმძღვანელი ალექსანდრე ტეტელოშვილი. „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი", დილიდან, სპეციალური ტექნიკის საშუალებით, სახლებიდან წყლის ამოტუმბვის და სოფლებში ხევების გაწმენდის სამუშაოებს აწარმოებს. უხვმა ნალექმა, ქალაქ გურჯაანში, ნუცუბიძის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის საყრდენი კედელი დაანგრია, სადაც შექმნილ ვითარებას გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ უტიაშვილი ადგილზე გაეცნო. გურჯაანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები გრძელდება".**



# მთაწმინდის განახლება-გამწვანებას 20 მილიონი ლარი მოხმარდება



## კახა კალაძე: მთაწმინდის ფერდობის რეაბილიტაცია-განახლების პროექტს ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს!



**კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. მთაწმინდის ფერდობის რეაბილიტაცია-განახლების პროექტს ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს. ამისთვის, მას მადლობა მინდა გადავუხადო. პროექტი, დაახლოებით, 20 მილიონი ლარის ღირებულებისაა,** — ამის შესახებ თბილისის მერმა **კახა კალაძემ** განაცხადა.

მისი თქმით, დედაქალაქის მერია რეკრეაციული სივრცეების შექმნის თვალსაზრისით, ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებს.

**„ფერდობზე მძიმე მდგომარეობა იყო — სარწყავი სისტემა არ არსებობდა, ხეები გახმა. ეს ადგილი ქალაქის ფილტვებია. სამუშაოების ჩატარების შედეგად, განხორციელდება ხეების სანიტარიული ჭრა, დაირგვება ხე-მცენარეები. აქ ადამიანები რთულ პირობებში მუშაობენ, მაგრამ აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. დედაქალაქის მერია რეკრეაციული სივრცეების შექმნის თვალსაზრისით, ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებს. ეს დიდ წარმატებას მოგვიტანს. ჩვენი ქალაქი ყველაზე სუფთა, მწვანე და მოწესრიგებული იქნება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, თბილისის მერიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მთაწმინდის ფერდობებზე არსებული დაზიანებული ნარგავების აღდგენის ღონისძიებები მიმდინარეობს. აღნიშნული სამუშაოები, დაახლოებით 700 ჰექტარზე ხორციელდება.

მიმდინარე პროცესს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მერის მოადგილე ანდრია ბასილაიასთან ერთად გაეცნო.

მთაწმინდის ურბანული ტყის განაშენიანების პროექტი უკვე მესამე წელია მიმდინარეობს. ტერიტორიაზე, რომელიც გეოლოგიურად და გეოდეზიურად ურთულესია, 14 მიმართულების კვლევა ჩატარდა. პროექტის აღსრულების პროცესი, პირველ რიგში, დაავადებული და დაზიანებული ხეების მოჭრას გულისხმობდა, შემდეგ კი განაშენიანების პროცესი დაიწყო. ამ დროისთვის, ტერიტორიაზე 100 000 ძირზე მეტი ხეა დარგული. სპეციალისტების თქმით, ახალი ნარგავების რაოდენობა ნახევარ მლნ ძირს გადააჭარბებს.

**განაშენიანების პარალელურად, არეალში ეწყობა საფეხმავლო ბილიკები, რომელიც დამთვალიერებლებს საშუალებას მისცემს, უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდნენ და მიმდებარე ტერიტორიებს დაუკავშირდნენ.**

**დედაქალაქის მერთან ერთად, ადგილზე თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი, ასევე, ფონდ „განვითარება და გარემო“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.**

## ზურაბ ქადაგიძე: გვარამიას კანტორა ისევ დაუნდობლად იტყუება!



**ამ უნიკალურ პროექტს, ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს, რომლის მიზანი გადაშენების პირას მყოფი კოლხური და არამხოლოდ ხოხბების გადარჩენა, გამრავლება და ბუნებაში დაბრუნებაა, — ომის და ღალატის პარტიის მთავარი მიზანი კვლავ რჩება შენების ნგრევად, ხოლო სიკეთის ბოროტებად წარმოჩინება,** — ასე ეხმიანება ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

**„ამ უნიკალურ პროექტს ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს და მისი მიზანია გადაშენების პირას მყოფი კოლხური და არამხოლოდ ხოხბების გადარჩენა, გამრავლება და ბუნებაში დაბრუნება. მთავარი არხის უზნეობას კი საზღვარი არც ამ შემთხვევაში აქვს. ომის და ღალატის პარტიის მთავარი მიზანი კვლავ რჩება შენების ნგრევად, ხოლო სიკეთის ბოროტებად წარმოჩინება. საბედნიეროდ, ხალხი ყველაფერს ხედავს, მაგრამ გვარამიას კანტორას და მის ბოროტ ჯალათებს მინდა ვკითხო — უპირობო სიკეთეს და ქველმოქმედებას რომ ბოროტებას არქმევთ და უმოწყალოდ იტყუებით, ღამე სახლში რომ მიდიხართ, საკუთარ თავთან რომ რჩებით მარტო, მაშინაც არ გრცხვენიათ ამ მარაზმში რომ მონაწილეობთ?“** — წერს ქადაგიძე.

## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის გადარჩენას!..**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

## თითქმის საუკუნე ერთ კომპანიაში

**100 წლის ბრაზილიელი უოლტერ ორტმანი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ერთ კომპანიაში ყველაზე დიდხანს მომუშავე ადამიანი. ის კომპანია ReneauxView-ში უკვე 84 წელია, მუშაობს.**

ReneauxView-ში 1938 წლის 17 იანვარს, 14 წლის ასაკში დასაქმდა. მისი პირველი პოზიცია კურიერის თანაშემწე იყო. 14 წლის ბიჭი შტატში აიყვანეს, ვინაიდან მან კარგად იცოდა გერმანული ენა, ქალაქ სანტა-კატარინაში კი ბევრი გერმანელი ცხოვრობდა.



**„1938 წელს ჩემს მშობლებს სჭირდებოდათ, რომ ჩვენ, ბავშვებსაც მუშაობა დაგვეწყო. ხუთი ვაჟიდან ყველაზე უფროსი ვიყავი, ამიტომ დედამ ფაბრიკაში სამსახურის მოსაძებნად წამიყვანა“,** — ამბობს ორტმანი. ძალიან მალე ის გამყიდველის პოზიციაზე, შემდეგ კი გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე დააწინაურეს. **„ამის შემდეგ სან-პაულუში წავედი და ერთ კვირაში იმდენი შეკვეთა გავაფორმე, რამდენიც, გეგმის მიხედვით, სამ თვეში უნდა გამეფორმებინა“,** — იხსენებს ორტმანი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტებზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0318; ევრო - 3.2110
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7506;
100 რუბლი - 4.5709; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7886;
1000 სომხური დრამი - 6.3609.

**ამინდი 9 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +16 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +15 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge